პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წლიწადი მეთოთხმეტე
კომუნისტი
საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—23—17, ხამდივნის—10—58, მთ. კანტორის—8—81
კვირა, 14 იანვარი 1934 წ. № 13 (3869)

დაიხურა საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობა

ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა სწორად სთვლის პარტორგანიზაციის მდგომარეობას და მუშაობის იმ შეფასებას, რომელიც მოცემულია ამხ. ბერიას მოხსენებაში და სავსებით იწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს და მის მიერ ჩატარებულ პრაქტიკულ მუშაობას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კ-ის მთელი მუშაობა ტარდებოდა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილებების და ამხ. სტალინის პირადი მითითებების საფუძველზე.

საქ. კომ. პ. (ბ) IX ყრილობა

კამათი ამხ. ბერიას და გ. სტურუას მოხსენებათა გარშემო

12 იანვრის დილის სხდომა

საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობის 12 იანვრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლ. ბერიას და გ. სტურუას მოხსენებათა გარშემო.

ამხ. ფ. მახარაძე

ამხანაგებო! ჩვენ მოვისმინეთ ამხ. ბერიას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

ამხ. ბერიამ ამომწურავად აღნიშნა ყველა ის წარმატება, რომლებსაც მივაღწიეთ ჩვენ, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების გამავლობაში.

ამხ. ბერიას არ გამოპარვია მხედველობიდან ის დეფექტებიც, რომლებიც ჩვენში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი.

ამხანაგებო, ჩვენ რომ არ გვქონოდა აღნიშნული დეფექტები, თავისთავად ცხადია, ეს წარმატებები და მიღწევები კიდევ უფრო მეტი იქნებოდა. ამიტომ ამ ყრილობამ თავისი ყურადღება უნდა მიამახვილოს უმთავრესად იმაზე, რომ ჩვენს მომავალ მუშაობაში აღმოფხვრილ იქნას ყველა დეფექტი. როგორც ამხ. ბერიამ აქ აღნიშნა, ჩვენს მუშაობას სხვადასხვა რგოლებსა და ორგანიზაციებში ჯერ კიდევ ახასიათებს არასაკმაო სიფხიზლე იმათ მიმართ, ვინც ეწევა შეგნებულ მავნებლობას.

ამხ. სტალინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ „რევოლუციური სიფხიზლე წარმოადგენს იმ თვისებას, რომელიც განსაკუთრებით საჭიროა ახლა ბოლშევიკებისათვის“. ეს ოქროს სიტყვები თვითეულ ჩვენგანს უნდა ჰქონდეს მხედველობაში იმიტომ, რომ მავნებლობას შეიძლება მომავალშიაც ექნეს ადგილი. მე უკვე არ ვლაპარაკობ დაუდევრობაზე. მე არ ვლაპარაკობ იმაზე, რომ თურმე მოიპოვებიან ისეთი საწარმოები, რომლებმაც არც კი იციან, თუ რა გეგმას ასრულებენ. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა საწარმოებს სრულიადაც არ მოეპოვებათ გეგმა. ამხანაგებო! ეს არის ჩვენი პოლიტიკის დამახინჯება, ამხ. სტალინის ისტორიული მითითებების დამახინჯება. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენს მუშაობაში არა ჩანს ბოლშევიკური გარკვეულობა.

კიდევ რას უნდა მივაქციოთ ყურადღება? პროდუქციის ხარისხს. ჩვენ ახლა უკვე ვერ დაგვაკმაყოფილებს მარტო ხარისხი. ჩვენი პარტიის ბელადი მოითხოვს ჩვენგან გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი, ვინაიდან საბჭოთა მომხმარებელი, კოლმეურნე, მუშა, ახლა სულ სხვა მოთხოვნებს აყენებენ, ვიდრე ეს იყო მაშინ, როცა ჩვენ განვიცდიდით აუცილებელი პროდუქტების უქონლობის ან ნაკლებობის გამო.

მე აქ მინდოდა შევჩერებულიყავი საბინაო მშენებლობის საკითხზე. ამხ. ბერიამ აღნიშნა ის გარდატეხა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი მუშაობის ამ დარგში. გამოსული ამხანაგებიდან მგონი მარტო ამხ. იმედაძე შეჩერდა ამ საკითხზე, ხოლო ამავე დროს კი ამხანაგებო, საბინაო მშენებლობას, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, ახლა კოლოსალური მნიშვნელობა აქვს.

არ უნდა ვიქონიოთ იმის იმედი, რომ ამ საკითხის გადაჭრას ჩვენ შევძლებთ მარტო საბიუჯეტო სახსრებით. საბიუჯეტო სახსრებით ჩვენ ვერ მოვახერხებთ ამის გადაჭრას, ბიუჯეტმა შეიძლება დააკმაყოფილოს იმ საჭიროებათა ერთი მეათედი ან მეთორმეტედი ნაწილი, რომლებიც ჩვენ გვაქვს. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს მთავრობამ ძალიან სერიოზული ყურადღება მიაქციეს ამ საკითხს, მათ მიიღეს ზომები იმისათვის, რომ გაძლიერებიათ გლეხების შრომითი მონაწილეობა საგზაო მშენებლობაში და წინათ დაწესებული 7 დღის ნაცვლად ახლა დააწესეთ გლეხების შრომითი მონაწილეობის 14 დღე.

უნდა ითქვას, რომ ამ ღონისძიებამ ძალიან დიდი ეფექტი მოგვცა.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ვილაც მოვა და გაუყვანს მათ გზას. ეს არ არის სწორი. საჭიროა თვითონ იმუშაო საგზაო მშენებლობის საკითხზე.

ორიოდე სიტყვა ჩვენი რაიონების შესახებ. ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენი რაიონები საკმაოდ მომაკრდენ. მაგრამ მგონია, რომ ზოგიერთ რაიონს კიდევ უფრო მეტი დახმარება უნდა გასწეოდა, და ჩვენ ამას შევძლებთ; ამას განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა ცენტრალურმა დაწესებულებებმა, საბჭოთა ორგანოებმა, სახალხო კომისარიატებმა.

ამხ. ბერიამ მიუთითა სუსტ საბინაო მშენებლობაზე ამ რაიონებში, და ეს მდგომარეობა რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს.

ამხანაგებო, მე მინდა ყრილობის ყურადღება მივაქციო ერთ გარემოებაზე. იმ პრაქტიკის მიხედვით, რომელიც ცაკს მოეპოვება, მე უნდა ვთქვა, რომ ამხანაგების დაწინაურება ზოგჯერ სრულიად უმართებულოდ ხდება. აი, მაგალითად, კვალიფიციური მუშა, ზეინკალი, ხარატი, რომელიც თავის საამქროში დამკვრელურად მუშაობს, — წარმოებაში მას აწინაურებენ რომელიმე სავაჭრო ორგანოში სამუშაოდ. და აი ეს ამხანაგი, რომელიც თავისი პროფესიით წარმოებას დიდ სამსახურს უწევდა, ხვდება უცნობ პირობებში, რომლებშიაც ერთბაშად ვერ ერკვევა. აქედან საკმაოდ სავალალო შედეგებს ვღებულობთ. დაწინაურება აუცილებელია, მაგრამ დაწინაურებული უნდა გაიგზავნოს ისეთ სამუშაოზე, სადაც მას მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

ამხანაგებო, მე მსურს აქ შევჩერდე კიდევ საბინაო მშენებლობაზე. უმთავრესად მხედველობაში მაქვს ქ. ტფილისი.

ტფილისის საბჭოს მუშაობის შესახებ ამ 3—4 თვის წინად ამხ. ბერიამ გააკეთა ამომწურავი მოხსენება, სადაც აღნიშნული იყო დეფექტები და ნაკლოვანებანი. ყოველივე ამაზე აღარ ვილაპარაკებ, რადგან ეს შორს წაგვიყვანდა. მაგრამ წინსვლა ჯერ არ ჩანს. ტფილისის საბჭოს მუშაობა საბინაო მშენებლობის მხრივ ძლიერ ჩამორჩება.

შემდეგ, ამხანაგებო, ძველი სახლების რემონტის შესახებ. უნდა გითხრათ, რომ მე საკმაოდ ახლო ვიცნობ ამ საკითხს. ჩვენში ამ საქმეზე იხარჯება სახსრები, მაგრამ იხარჯება ისე, რომ შედეგები არა ჩანს.

ამხანაგებო, ნება მომეცით შევჩერდე ერთ საკითხზე, რომელიც ძალიან აინტერესებს ამ ყრილობას, და არც შეიძლება არ აინტერესებდეს. მე ვლაპარაკობ ამხ. ბერიას მოხსენების იმ ნაწილზე, სადაც მან აღნიშნა სერიოზული ხარვეზები ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. მთავარი დანაშაული მე მიმიძღვის. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთ ჩემს ნაშრომში, ჩემს ძირითად ნაშრომებში: „1905 წელი“, „ნარკვევი საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან“ სრულიად არ არის გამოვლინებული ის უდიდესი როლი, რომელსაც საქართველოს და ამიერ-კავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ასრულებდა ამხ. სტალინი.

ამხანაგებო, მე არ შევუდგები თავის მართლობას, ეს მე არ მახასიათებს. მე მთლიანად ვაღიარებ ამ უდიდეს შეცდომას, მაგრამ, ამხანაგებო, მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ „1905 წელი“ იწერებოდა 8—9 წლის წინად. ეს ნაშრომი თავისთავად მოძველდა, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ როგორც მასალა. იგი იწერებოდა ისეთ დროს, როცა ჩემთვის არც ერთ ორგანიზაციას არავითარი დახმარება არ გაუწევია, ხოლო დავალებული მქონდა ჩქარა დამეწერა. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გამოვლინებული უსაჭიროესი მასალები.

რაც შეეხება მეორე ნაშრომს, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ყველაზე უფრო არადამაკმაყოფილებელია ჩემს ნაშრომებს შორის.

მისი დაბეჭდვისთანავე მე შევუდექი მის გადაკეთებას. მე იგი გადავაკეთე და მომიხდება კიდევ უფრო გადავაკეთო.

ყოველივე ეს მართალია, მაგრამ, ამხანაგებო, იყო თუ არა ჩემ მხრივ რაიმე ცდა გამომესწორებია ეს შეცდომა? ასეთ ცდებს ჰქონდა ადგილი.

თუ ავიღებთ ჩემს ნაშრომს, რომელიც დაიწერა და დაიბეჭდა შარშან, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების შესახებ მე-2 ყრილობის მომენტისათვის, დავინახავთ, რომ იქ რამდენადმე ეს შეცდომა გამოსწორებულია. ეს ნაშრომი დაიბეჭდა როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე. იქ მთელი გვერდები მიძღვნილია ამხ. სტალინისადმი. სხვათა შორის, ერთ ადგილას მე ვამბობ: „რაც შეეხება მარქსიზმის რევოლუციურ ფრთას (ის ეხება მე-19 საუკუნის დამლევს), მას ჰყავდა წარმომადგენელთა მთელი ჯგუფი, საიდანაც გამოვიდა ამხ. სტალინი, რომელიც მალე გახდა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ნამდვილ ხელმძღვანელად და სულისჩამდგმელად“.

მე, ამხანაგებო, არავითარ შემთხვევაში არ მინდა ამით ვთქვა, რომ ჩემი ამოცანა ამით ამოიწურება.

ყველა ამხანაგისათვის ცნობილია ჩემი გამოსვლები როგორც პრესაში, ისე ყრილობებზე. ამჟამად, ამხანაგებო, მე უკვე დავამთავრე ბროშურა სათაურით: „ათი წელი ულენინოდ“, რომელიც თითქმის მთლიანად მიძღვნილია სტალინისადმი.

ამხანაგებო, მე 42—43 წელია ვიმყოფები ჩვენს პარტიაში. მე მჩვევია არა მარტო პატივისცემით მოვეპყრა პარტიის აზრს, არამედ აგრეთვე შევასრულო პარტიის ბრძანებები და ნებისყოფა.

ამ შემთხვევაში მე შემიძლია კიდევ უფრო მეტი ვთქვა იმიტომ, რომ ეს შეეფერება ჩემს საკუთარ მისწრაფებებს. თუ მე ეს აქამდის ვერ გამოვასწორე, მხედველობაში უნდა მიიღოთ, რომ მე არა ვარ ნაფიცი ისტორიკოსი, რომ მე დატვირთული ვარ აგრეთვე სხვა ყოველდღიური სამუშაოებით. ამ შემთხვევაში მე სავსებით ვიზიარებ იმ აზრს, რომელიც აქ გამოთქმული იყო ამხ. ბერიას მოხსენებაში. და პარტიის და ყრილობის სურვილის შესასრულებლად მივიღებ ყოველგვარ ზომებს, რომ, რაც შეიძლება მალე გამოვასწორო ეს. მე მზადა ვარ ვიკისრო ის დანაშაული და ამასთან ერთად დარწმუნებული ვარ, რომ ამ მხრივ სრულ დახმარებას გამიწევენ ყველა ორგანოები და უმთავრესად, ცენტრალური კომიტეტი, რომელიც არ მეტყვის უარს დახმარებაზე ამ საკითხში.

ამხ. ე. ბედია

(განსახკომი)

31 ოქტომბრის დადგენილების და ჩვენი პარტიის მერვე ყრილობის შემდეგ განვლილი პერიოდი დიდ ისტორიულ ეპოქას, ახალ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საქართველოს კომპარტიის ისტორიაში. გარდაქმნა და შეამჭიდროვა რა თავისი რიგები, პარტიამ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ეს მიღწევები მოპოვებულია საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელებით, კლასობრივი მტრის, მენშევიზმის და ტროცკიზმის ნაშთების ნამსხვრევების და პარტიის გენერალური ხაზიდან ოპორტუნისტული გადახრების წინააღმდეგ ბრძოლით. საქართველოს კომპარტიამ გაანადგურა „ატამანშჩინის“ და ჯგუფობრიობის ელემენტები და ახალ ხელმძღვანელობის გარშემო შეამჭიდროვა თავისი რიგები.

ეს მიღწევები შედეგია სამხარეო კომიტეტის და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ლენინურ-სტალინური, ბოლშევიკური ხელმძღვანელობის, რომელიც მუშაობდა ამხ. ლავრენტი ბერიას მეთაურობით.

სახალხო განათლების დარგში მოპოვებულია უდიდესი მიღწევები. ასეთივე მიღწევები გაგვაჩნია ჩვენ ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის მშენებლობის დარგში. ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კულტურული მშენებლობის საკითხს. მე აქ არ ვილაპარაკებ მიღწევებზე, შევჩერდები მხოლოდ ზოგიერთ ნაკლზე. სკოლის ასაკამდე აღზრდის საქმეში ჩვენ ჩამოვრჩებით ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებს; სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებში გაერთიანებულია 59.507 ბავში. რაც ამ ასაკის ბავშთა მხოლოდ 22,7 პროცენტს შეადგენს. სათანადოთ არაა მოწყობილი ზოგიერთი საბავშო ბაღი, საწარმოები, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები სათანადოდ კიდევ არ ეხმარებიან ამ დაწესებულებებს. არ გვყოფნის სასკოლო შენობები, სახელოსნოები და მოწყობილობა დაწყებითი და საშუალო სკოლებში. ამ სკოლებში ჩვენ გვაქვს 19.339 ჯგუფი, მათთვის საჭიროა 35.268 სასკოლო ოთახი, გვაქვს კი 13 ათასი ოთახი. ამიტომ, სასკოლო მშენებლობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიულმა ორგანიზაციებმა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ამ საქმეზე დახარჯულია 27 მილ. მანეთზე მეტი. მაგრამ ეს არაა საკმარისი.

მასწავლებელთა მომსახურების საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. უკანასკნელ წლებში მასწავლებელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა, ხელფასი გაიზარდა; მაგრამ მთელ რიგ რაიონებში მდგომარეობა ამ მხრივ მაინც არადამაკმაყოფილებელია, ზოგიერთი რაიონი მთელი თვეობით არ ისტუმრებს მასწავლებელთა ხელფასს.

უმაღლესი განათლების დარგში მოპოვებული გვაქვს თვალსაჩინო მიღწევები. ამჟამად საქართველოში 11 უმაღლესი სასწავლებელია 10777 სტუდენტით და 157 ტექნიკუმი 25.166 მოსწავლით. უმაღლესმა სკოლებმა და ტექნიკუმებმა საგრძნობლად გარდაქმნეს თავიანთი მუშაობა საკავშირო ცაკის დადგენილების საფუძველზე. ჩვენი ამოცანაა —უმაღლესი სკოლებისა და ტექნიკუმების სასწავლო - მატერიალური ბაზის განმტკიცება, პროფესორ მასწავლებელთა კადრების შერჩევა სწავლების ხარისხის და სტუდენტთა და მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. სტუდენტთა ქალაქი ტფილისში არადამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი, ტფილისის საბჭომ დღემდე არ შეასრულა ც. კ-ის დადგენილება ამ საკითხზე. წელს უნდა გაგრძელდეს სტუდენტთა ქალაქის მშენებლობა და დამთავრდეს მისი კეთილმოწყობა.

ამხ. სტალინის ლოზუნგი, რომ ყველა კოლმეურნე გადავაქციოთ შეძლებულად, მოითხოვს ბოლშევიკური ბრძოლის გაშლას ახალი კულტურული საკოლმეურნეო სოფლისათვის. ამ მიზნით, პოლიტგანყოფილებათა და რაიონული პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით უნდა მოვაწყოთ კოლმეურნეთა მასობრივი ლაშქრობა კულტურისათვის. კოლმეურნეობებს უნდა ჰქონდეთ კულტურული საყოფაცხოვრებო მშენებლობის მტკიცე გეგმა, რომელიც შედგება კოლმეურნეთა მოთხოვნის გათვალისწინების საფუძველზე. ფართოდ უნდა გავშალოთ წითელი კუთხეების და სოცკულტურის სახლების მშენებლობა საბჭოთა და კოლმეურნეობებში.

ამხანაგმა ბერიამ სავსებით სწორად დააყენა იდეოლოგიური ფრონტი, კერძოდ ისტორიულ ფრონტზე ბრძოლის საკითხი. ამ ფრონტზე დღემდე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, იგი სამარცხვინოდ ჩამორჩება. ამხანაგმა ბერიამ ბოლშევიკურად გამოამჟღავნა ამხ. ფ. მახარაძის შრომებში დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები. ამხანაგი ფილიპე გამოვიდა ყრილობაზე, მაგრამ გულწრფელად არ სცნო თავისი შეცდომები, არ შეეცადა მოეცა თავისი შეცდომების გაშლილი კრიტიკა. იგი ლაპარაკობდა, რომ შესრულებს ყრილობის სურვილს და შეეცდება გამოასწოროს ეს შეცდომები. ამგვარად გამოდის, რომ ამხანაგი ფილიპე არ ცნობს დაშვებული შეცდომების მნიშვნელობას, არ იჩენს ნებისყოფას და სურვილს ბოლშევიკურად გამოასწოროს ისინი. იგი მხოლოდ გვპირდება, რომ დაუთმობს ყრილობას და შეეცდება ამ შეცდომების გამოსწორებას. ასეთი განცხადება სრულებით არ არის დამაკმაყოფილებელი, ამხანაგ მახარაძის მხრივ, ეს განცხადება არ წარმოადგენს იმ შეცდომების აღიარებას, რომლებზედაც აქ ამხანაგი ბერია ლაპარაკობდა. ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში და უპირველეს ყოვლისა ამხ. ფილიპე მახარაძის ნაშრომებში თქვენ ვერ იპოვით ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების საფუძვლის ჩამყრელის, ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის დიდ სახეს. შემთხვევითია თუ არა ეს შეცდომები ამხ. მახარაძის ნაშრომებში? ამხანაგ ფილიპეს გულწრფელად უნდა აღეიარებია, რომ ეს შემთხვევითი არ არის, რომ თავისი ისტორიული ნაშრომები „1905 წელი ამიერ-კავკასიაში“ და „მუშათა მოძრაობის ისტორია“ მან დაწერა იმ პერიოდის ოპორტუნისტული იდეების და განწყობილებათა გავლენის ქვეშ, როდესაც ნაციონალ-უკლონისტურ ოპოზიციაში იმყოფებოდა, აი ამიტომ მან შეგნებულად, სიჩუმით აუარა გვერდი ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიზმის დამაარსებლის და ბელადის ამხანაგ სტალინის როლს. ამხანაგ მახარაძემ შეგნებულად, ბოლშევიკურად, გულახდილად, და რაც შეიძლება მალე უნდა გამოასწოროს პარტიის ისტორიის საკითხებში დაშვებული უხეში პოლიტიკური შეცდომები.

ამასთან აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ აგრეთვე ამხანაგ მამია ორახელაშვილის ნაშრომებზე. რომლებშიაც დაშვებულია უხეში პოლიტიკური შეცდომები. თავის წიგნში „პროლეტარული რევოლუციის საკითხები“ (გამოსულია ქართულად) მე-17 გვერდზე ამხანაგი მამია წერს, რომ 1911 წელს კაუცკიმ წამოაყენა სოციალისტური გამარჯვების ორი ამოსავალი წერტილი: პირველი—პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში მოპოვებული პოლიტიკური გამარჯვება და მეორე —არსებული ეკონომიური სისტემის დამსხვრევა ხალხთა ომში. ცნობილია, რომ მუშათა კლასის პოლიტიკური გამარჯვების ქვეშ კაუცკის ესმის სოციალდემოკრატიული პარტიის მიერ პარლამენტარული უმრავლესობის დაპყრობა. აი ამ მენშევიკურ თეზისს ამხ. ორახელაშვილი სახავს პროლეტარული რევოლუციის თეორიად, ამ წიგნში თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ სიტყვას პროლეტარული რევოლუციის ლენინურ-სტალინური თეორიის, კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარების ლენინურ-სტალინური მოძღვრების შესახებ, იმპერიალიზმის სუსტი რგოლის, რევოლუციური სიტუაციის და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის პერსპექტივის საკითხში ამხ. ორახელაშვილი ანვითარებს აშკარა ტროცკისტულ შეხედულებას. იგი იჩენს აგრეთვე ლიბერალურ, ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას კაუცკისადმი, მუშათა კლასის ამ აშკარა მტრისადმი. 43 გვერდზე იგი წერს. რომ ენგელსის სიკვდილის შემდეგ ინტერნაციონალის მთავარი თეორეტიკოსის და მარქსიზმის მკვლევარის როლი წილად ხვდა კაუცკის, რომელიც თითქო გადაიქცა საერთაშორისო სოციალიზმის უდიდეს ავტორიტეტად. რომელიც ყველა მოვლენას უდგება დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდით. ცხადია, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს კაუცკის იდეალიზაციასთან, მის მენშევიკურ შეფასებასთან. კაუცკი არასოდეს არ ყოფილა რევოლუციონური-მარქსისტი, იგი იყო ცენტრიზმის ბელადი ყველაზე საშიში რევიზიონისტი და ოპორტუნისტი, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა მენშევიზმის და სოციალფაშიზმის ბანაკში. გაიხსენეთ ლენინის შეფასება გაიხსენეთ მარქსის პირველი შეფასება, რომელიც მან მისცა კაუცკის როგორც ფილისტერს. გაიხსენეთ კაუცკის მიერ განვლილი გზა და ეს ცხადი გახდება, რომ ამხანაგმა ორახელაშვილმა აქაც დაუშვა უხეში შეცდომა.

თავის მეორე წიგნში — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელში“, ამხანაგი მამია წერს, რომ 1905 წლის რევოლუცია ბოლშევიკებმა მენშევიკებთან ერთად ჩაატარეს, რადგან ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის რევოლუციურ ფრთას წარმოადგენდნენ. როგორც ვხედავთ, მენშევიკები 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში ამხ. მამიას გამოყავს ბოლშევიკებთან ერთად. როგორც პროლეტარიატის რევოლუციური პარტია. ეს წიგნი რომელიც პრეტენზიას აცხადებს 1905-17 წ.წ. რევოლუციის ეპოქაში ბოლშევიზმის ისტორიის ნარკვევზე, სრულიად უვლის გვერდს ამხანაგ სტალინის როლს. იქ ნათქვამია, რომ რეაქციის ეპოქაში პროკლამაციებისა და ფურცლების საბეჭდავად ბოლშევიკებმა მოაწყვეს თავიანთი სტამბა და გამოუშვეს ჟურნალი „ბოლშევიკი“, 1908 წელს. ხოლო „ტფილისის პროლეტარი“ 1909 წელს. გამოვიდა სულ სამი ნომერი; პირველ ნომერში სახელმძღვანელო წერილი დაწერილია ამხანაგ კობა სტალინის მიერ. აი ყველაფერი, რაც ამ წიგნში ნათქვამია ამიერ-კავკასიის ბოლშევიზმის ბელადის—ამხ. სტალინის შესახებ. ცხადია, რომ ყველაფერი ეს, როგორც ცა დედამიწისაგან ისეა დაშორებული იმას, რაც ამ ყრილობის ტრიბუნიდან ილაპარაკა ამხ. ბერიამ ამხ. სტალინის როლისა და ამიერ-კავკასიისა და საქართველოს რევოლუციურ მოძრაობაში მისი უდიდესი დამსახურების შესახებ. ამხანაგი ორახელაშვილი არასოდეს არ ცდილა, განსაკუთრებით ამხანაგ სტალინის წერილის — „ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“ გამოქვეყნების შემდეგ, პარტიულ კრებებზე ან პრესაში გამოესწორებია ეს თავისი შეცდომები.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა პარტიის ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ახლანდელ პირობებში კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე. გავაჩაღოთ ბრძოლა უცხო იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლენის და ყველა ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. უნდა მოვაწყოთ მარქს-ლენინ-სტალინის რევოლუციური თეორიის სერიოზული და ღრმა პროპაგანდა.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული რომ კულტურის მუშაკთა მთელი არმია და პირველ რიგში ამ ფრონტზე მომუშავე ბოლშევიკები, შეამჭიდროვებენ თავიანთ რიგებს პარტიის საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციის და საქართველოს კომპარტიის საუკეთესო და საყვარელი ხელმძღვანელის ამხ. ლ. ბერიას ირგვლივ.

საქ. კ. პ. მე-9 ყრილობის დელეგატები: ამხ. გოგიბედაშვილი (დუშეთის რაიონი), სიტნიკოვი („26“ კომ. ქარხანა) ბაირამოვი (ბაშკიჩეთი) ბოჭორიშვილი (ჭიათურა)

ამხ. ჯანჯღავა

(ლიმონტრესტი)

ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით მნიშვნელოვანი მიღწევები მოპოვებულია ციტრუსთა მეურნეობის განვითარების დარგში, ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებმა გავლენა მოახდინა ამ დარგზეც, გამოიწვია ციტრუსოვანთა მოსავლიანობის შემცირება. დღეს ეს მდგომარეობა გამოსწორებულია; ციტრუსოვან ნარგავთა ფართობი უკანასკნელ ორ წელში 1350 ჰექტარიდან გაიზარდა 2.800-მდე: 300-მდე პროც. გაიზარდა მოსავლიანობაც 1928-29 წელთან შედარებით, ეს მიღწევები უმთავრესად აიხსნება საბჭოთა და კოლმეურნეობათა სამეურნეო გამტკიცებით და აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით, აიხსნება იმ დიდი ყურადღებით, რომელსაც ამ დარგს აქცევს **ამხ. ბერია.** ციტრუსოვანი კულტურები შრომის ტიადი კულტურებია, მოითხოვენ დიდძალ მუშახელს, ამიტომ ჩვენი ამოცანაა—უზრუნველვყოთ მუშახელით ციტრუსთა საბჭოთა მეურნეობები და გავაუმჯობესოთ იქ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები.

ფართოდ უნდა გავშალოთ სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობა ციტრუსთა მეურნეობის დარგში. ინსტიტუტი, რომელიც მოწოდებულია ამ საქმეს ემსახუროს, ჯერ-ჯერობით სუსტად მუშაობს. ჩვენ მოვახერხეთ ერთი რესპუბლიკური თათბირის ჩატარება ყინვებისაგან ციტრუსოვან ნარგავთა დაცვის შესახებ, რამაც კარგი შედეგი გამოიღო, მაგრამ ეს არ არის საკმარისი 1934 წლ. გეგმის ძირითადი ამოცანა სასათბურო მეურნეობის განვითარებაა. ეს საქმე ჩვენში არაა დაყენებული სათანადო დონეზე. სათბურებისათვის საჭიროა ისეთი მიწის შერჩევა, რომელიც შეეფერება ციტრუსთა განვითარების პირობებს; ამას უნდა მივაქციოთ ახლა განსაკუთრებული ყურადღება.

ციტრუსების დარგში ჩვენ წინაა დიდი სამუშაო, ციტრუსი უნდა გახდეს წამყვან კულტურად შავი ზღვის სანაპიროების რაიონებში. ცენტრალური კომიტეტის და ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით ჩვენ შევასრულებთ ამ ამოცანას.

ამხ. ვ. ლადარია

(აფხაზეთი)

ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციების მიერ მოპოვებული უდიდესი მიღწევები, რომლითაც ჩვენ მივდივართ მე-17 პარტყრილობაზე იმ დიდი ყურადღების და დახმარების შედეგია, რომელიც საყვარელმა ბელადმა ამხ. სტალინმა გაგვიწია. ეს მიღწევები შედეგია სამხარეო კომიტეტის და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის, რომელსაც სათავეში უდგას გამოწრთობილი სტალინელი ამხ. ლ. ბერია.

ახალი ხელმძღვანელობის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო მოუღო იმ გაუგებრობებს, არევდარევას, ჯგუფობრიობას, და „ატამანშჩინას“, რომელსაც წინად ქონდა ადგილი. ძველი ხელმძღვანელობის დროს დაშვებული პოლიტიკური შეცდომების გამოსწორებისათვის ბრძოლაში გაიზარდა და გამაგრდა ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციები.

იგივე ითქმის აფხაზეთის პარტორგანიზაციის შესახებაც. სამხარეო კომიტეტის, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის და ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით და დახმარებით, აფხაზეთის პარტორგანიზაციამ თავისი ყურადღების ცენტრში მოაქცია საწარმოო ძალთა განვითარების და სოფლის მეურნ. სოციალისტურ რეკონსტრუქციის საკითხი. მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ტყვარჩელის ქანახშირის მაღაროების, ბზიბის კომბინატის, შავიზღვის რკინიგზის, სოხუმის ჰიდროელსადგურის და ტყვარჩელის თბოსადგურის მშენებლობისათვის, მაგრამ ზოგ დარგში გეგმა მაინც არაა შესრულებული. სავსებით სამართლიანად აღნიშნა აქ ამხ. ბერიამ ჩამორჩენა ტყვარჩელმშენზე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ 1934 წ. მაღაროების გაშვება ექსპლოატაციაში, ხოლო შემდგომ წლებში ყოველწლიურად ერთი მილიონი ქვანახშირის ამოღება.

სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში აფხაზეთში ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები: უკანასკნელ სამ წელში მოეწყო 33 საბჭოთა მეურნეობა, მათ შორის ორი ჩაის და სამი სამანქანო-სატრაქტორო სადგური. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია მშრომელ გლეხთა 38 პროცენტი. ჩვენ გავაჩაღეთ ბრძოლა რაიონების სპეციალიზაციისათვის, ტექნიკური კულტურების დანერგვისათვის.

განსაკუთრებით საგრძნობი მიღწევებია მოპოვებული მეთამბაქოობის დარგში. გარდატეხა მოხდა მას შემდეგ, რაც ამ საქმეში პირადად ჩაერია ამხ. სტალინი და ბერია. 1933 წელს თამბაქო ჩვენ გავაშენეთ 16.500 ჰექტარზე, საიდანაც მივიღეთ 5.135 ტონა. 1933 წელს კი 12.360 ჰექტარზე ავიღეთ 7500 ტონა თამბაქო. წელს ჩვენს წინაშე დგას ამოცანა გავადიდოთ თამბაქოს მოსავლიანობა და გავაუმჯობესოთ ხარისხი. ამ ამოცანას აფხაზეთის ბოლშევიკები შეასრულებენ.

ამხ. სტალინმა მოგვცა მითითება განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით განვავითაროთ ციტრუსოვანი კულტურები. აფხაზეთში ყოველგვარი პირობებია ამ კულტურების განვითარებისათვის. ჩვენ ახლა ვაჩაღებთ ბრძოლას იმისათვის, რომ 1938-39 წელს მივცეთ ქვეყანას 250 მილიონი ცალი ციტრუსოვანი ხილი.

იდეოლოგიური ფრონტის საკითხი რომელიც თავის მოხსენებაში დააყენა ამხ. ბერიამ. მეტად სერიოზული საკითხია. სავსებით დროულია და სწორი საკითხის დასმა იმის შესახებ, თუ როგორ იწერება ჩვენში პარტიის ისტორია და რა შეცდომები აქვს ამ მხრივ კერძოდ ამხ. მახარაძეს. ამ საკითხს უფრო მეტი, უფრო დიდი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს ზოგიერთ აქ გამოსულ ამხანაგებს ჰგონიათ, მათ შორის ამხ. მახარაძესაც. შეუძლებელია ერთმანეთს დავაშოროთ ბოლშევიკის პრაქტიკული და თეორიული მუშაობა. ამხ. მახარაძის შრომებში კი, სწორედ ამ შეცდომის საფუძველზე მიჩქმალულია ამხ. სტალინის, როგორც ამიერ-კავკასიის და საქართველოს ბოლშევიკური პარტორგანიზაციის დამაარსებლის და ხელმძღვანელის როლი, მიჩქმალულია ამიერ-კავკასიაში სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიზმისათვის ბრძოლის ნამდვილი ისტორია.

ცხადია, თუ საჭიროდ არ მიიჩნიეს ეჩვენებიათ ამხ. სტალინის, როგორც ამიერ - კავკასიის და საქართველოს ბოლშევიზმის საფუძვლის ჩამყრელის და ხელმძღვანელის როლი, მაშინ ალბათ, სხვა ვინმე თვლის თავის თავს ასეთად. ამხ. მახარაძემ უნდა გამოასწოროს თავისი შეცდომები არა მარტო იმის მიხედვით, რაც ერთ წიგნში დაუწერია, არამედ ყველა მის ნაშრომში. მან უნდა შეამოწმოს თავისი ბოლშევიკური ბრძოლის გზა, თავისი განვითარების ყველა ეტაპი იმის მიხედვით, თუ რამდენად შეეფარდებოდა მისი ბრძოლა ამხ. სტალინის მიერ ჩატარებულ ბრძოლას, მან უნდა შეამოწმოს რამდენად შეეფერებოდა მისი მუშაობა ლენინიზმისათვის შეურიგებელ ბრძოლას, ლენინური იდეოლოგიის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლას, იმ ხაზს, რომელსაც ამიერ-კავკასიაში და საქართველოში ატარებდა ამხ. სტალინი. ეს სერიოზული საქმეა: საჭიროა ყველა შრომის გადათვალიერება, ბოლშევიკური პირდაპირობით, სტალინურად შემოწმება ნამდვილი გზისა და ამის შემდეგ წერა პარტიის ისტორიის, ამიერ-კავკასიის და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიის. ჩვენის მხრივ კი საჭიროა არა მარტო განცხადებები ამხ. მახარაძისა და მამია ორახელაშვილის შეცდომების შესახებ, არამედ ბრძოლა ამ შეცდომების ნამდვილად გამოსწორებისათვის. პარტიის ისტორიის შესახებ უნდა იწერებოდეს იმ ბრძოლის მიხედვით, რომელსაც ამხ. სტალინი ატარებდა. ეს შეეხება დანარჩენ ამხანაგებსაც, რომლებიც სწერენ პარტიის ისტორიაზე. მათაც უნდა გადასინჯონ თავიანთი შრომები, შეამოწმონ ისინი ისე, როგორც აქ ამხ. ბერიამ ილაპარაკა.

ჩვენი ამოცანაა გარდავქმნათ, ახალ პრინციპიალურ სიმაღლეზე ავიყვანოთ ბრძოლა მარქსისტულ - ლენინური იდეოლოგიის სიწმინდისათვის. ამ დარგში მუშაობა გაჩაღდა აფხაზეთშიაც. მარქსისტულ - ლენინურ თეორიის დამახინჯების და კონტრრევოლუციურ განწყობილების გამომხატველთა წინააღმდეგ, აფხაზეთის პარტორგანიზაციამ ჩაატარა გარკვეული ბრძოლა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სამხარეო კომიტეტის და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მეთაურობს ამხ. ბერია, ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციები მომავალშიაც გააჩაღებენ გადამწყვეტ ბრძოლას შემდგომი გამარჯვებისათვის. როგორც სამეურნეო, ისე იდეოლოგიურ ფრონტზე.

ამხ. ალასულთანოვი

(ახალციხე)

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეტად თვალსაჩინოა ის მიღწევები, რომელიც მოპოვებული აქვთ საქართველოს ყველა რაიონებთან ერთად ჩვენს განაპირა რაიონებს, როგორიცაა, მაგალითად. ახალციხე; გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ახალციხის რაიონი ყველა მაჩვენებლების მიხედვით წელს გაცილებით უკეთესად, ვინემ გასულ წლებში; ეს იმის შედეგია, რომ წარმოებდა სისტემატიური და ენერგიული მუშაობა ძველი ხელმძღვანელობის შეცდომების გამოსასწორებლად.

1932 წელს, როგორც ეს აღნიშნულია საქართველოს კომპარტიის ცეკას დადგენილებაში, სახელმწიფოებრივი დამზადებების გეგმები ახალციხის რაიონში ჩაიშალა. მიმდინარე წელს კი ამ მხრივ ჩვენ საქმე გვაქვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებასთან: ახალციხის რაიონმა, რომელიც წინა წლების განმავლობაში დამზადებების მხრივ სამარცხვინოდ ჩამორჩენილი იყო, გატეხა კულაკების საბოტაჟი და მთლიანათ შეასრულა სახელმწიფოებრივი დამზადებათა გეგმები.

მთავარი და ძირითადი ეს არის კადრები ამ მხრივ ახალციხის რაიონულმა კომიტეტმა ცენტრალური კომიტეტის დახმარებით შეძლო სოფლად მტკიცე შემოწმებული კადრების გადასროლა. ამ კადრებმა გაამართლეს იმედები და ეს იქიდან ჩანს, რომ უკანასკნელად კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ ყველა საწარმოო დავალებებს.

ამხ. ლავრენტი აქ ჩვენს ყურადღებას მიაპყრობდა იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლას. მე უნდა მოგახსენოთ, რომ იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე თურქულ რაიონებში განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი და ამას ჩვენმა თურქულმა პრესამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს. აქ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ანტი-საბჭოთა ელემენტების გამომჟღავნებას და, მათ წინააღმდეგ ბრძოლას. განსაკუთრებული ყურადღება ამ მხრივ უნდა მიექცეს აგრეთვე თურქულ სასწავლებლებს და ინტელიგენციას.

მე ვფიქრობ, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით შეძლებს მოიპოვოს კიდევ უფრო მეტი მიღწევები მეორე ხუთწლედის განმავლობაში.

ა.-კ. კომორგანიზაციის მე-7 ყრილობა

გაიხსნება 15 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სახ. ოპერის შენობაში.

დელეგატებისათვის მანდატების გაცემა წარმოებს საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტში (მე-2 სართული, სხდომების დარბაზი) დილის 10 საათიდან საღამოს 10 საათამდე. მოსაწვევი ბარათები ნაწილდება საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის პარტრაიკომებში.

საორგანიზაციო კომისია.

კამათი ამხ. ბერიას და გ. სტურუას მოხსენებათა გარშემო

ამხ. ბ. მდივანი

საქართველოს მსუბუქმა მრეწველობამ ვერ შეასრულა წლიური გეგმა. 102 მილიონი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 86 მილიონი მანეთის პროდუქცია. გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებია: მუშა - ხელის ცვალებადობა, მუშათა ცუდი საყოფაცხოვრებო მომსახურება და არაკონკრეტული ხელმძღვანელობა [illegible] ცალკე დარგებზე. მოუგვარებელია წარმოების ორგანიზაციის ბევრი საკითხი; მაგ.. ყოვლად უმსგავსო მდგომარეობაშია საწარმოებში მანქანების რემონტის საქმე.

განსაკუთრებული როლი საწარმოო გეგმის შესრულებაში უნდა ითამაშოს ტექნიკურმა საწარმოო-საფინანსო გეგმამ. ბევრგან უკვე ჩამოყალიბებულია სპეციალური ბრიგადები, რომლებიც ამუშავებენ ტექნიკური საწარმოო გეგმის ღონისძიებებს დანერგვისათვის. ეს მეტად რთული და სერიოზული საქმეა. ტექნიკური საწარმოო - საფინანსო გეგმის შესადგენად საჭიროა სამუშაო პროცესის ზუსტად განსაზღვრა, წარმოების ორგანიზაციის დეტალებით მოგვარება, მუშა - ხელზე მოთხოვნის გამორკვევა და სხვ.. ამ მიმართულებით ზოგი რამ უკვე გაკეთდა, მაგრამ უმთავრესი წინ არის.

მნიშვნელოვან ამოცანას მრეწველობის დარგში სამუშაო დღის შემჭიდროება წარმოადგენს. ჩვენ გავატარეთ სამუშაო პროცესების ზუსტი აღრიცხვა საწარმოებში (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, მკერავთრესტის პირველი და მეორე ფაბრიკა, კანსამთლის ფაბრიკა და სხ.) ამ აღრიცხვამ დაადასტურა, რომ ფაქტიური სამუშაო დღე ბევრ საწარმოში 7 საათის ნაცვლად 5 ნახევარ საათს უდრის.

ამხ ბერიამ თავის მოხსენებაში ილაპარაკა ამხ. მახარაძის შეცდომების შესახებ. ფილიპე გამოვიდა აქ და გააკეთა განცხადება ამ შეცდომების შესახებ: ლენინი ჩვენ გვასწავლიდა, რომ შეცდომები უნდა გამოვასწოროთ არა მარტო განცხადებებით, არამედ საქმითაც. საჭიროა პირველ რიგში გამომჟღავნებულ იქნას საკუთარი შეცდომის საფუძვლები, მისი ნამდვილი მიზეზები და გაიშალოს ბრძოლა ამ შეცდომების გამოსასწორებლად. შეცდომების გამომჟღავნების შესახებ, ჩემის აზრით, ფილიპეს აქ ცოტა სხვაგვარად უნდა ელაპარაკა. თავის შრომებში რომ ფილიპეს მეტი ყურადღება მიექცია ამხ. სტალინის არალეგალური მუშაობის საკითხისათვის, მას ეს შეცდომები არ ექნებოდა. აი ამის გამო ვერ შეაფასა ამხ. ფილიპემ სტალინის როლი, მისცა მის ბრძოლას უფერული დახასიათება. დღევანდელი სტალინი თავისი ძირითადი თვისებებით იგივე სტალინია, როგორც იგი არალეგალური მუშაობის პერიოდში. ვისაც სცოდნია მაშინდელი სტალინი, იგი იცნობს მის უდიდეს ორგანიზატორულ ნიჭს, აზრის სიცხადეს, გადაწყვეტილების ურყევად გატარების უნარს. მე მახსოვს ბაქოში მუშაობის პერიოდი, როდესაც [illegible] მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. მაშინ ბოლშევიკების ჯგუფი ამხ. სტალინის მეთაურობით და ამხ. შაუმიანის და ალიოშა ჯაფარიძის მონაწილეობით სასტიკად შეებრძოლა მენშევიკებს და ორი თვის შემდეგ რაიონი ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა. მე მახსოვს პერიოდი, როდესაც სტალინი მუშაობდა ჭიათურაში და ბათომში: როდესაც საჭირო იყო ახალის თქმა, მას პირველად სტალინი ამბობდა. როდესაც საჭირო იყო ახალის გაკეთება — მას სტალინი პირველი აკეთებდა. ეს არ უნდა დავიწყებოდა ამხ. ფილიპეს.

სულ სხვაა [illegible] ორახელაშვილი [illegible] არიან ადამიანები, რომლებიც [illegible]. დღეს ერთს ამბობენ და ხვალ მეორეს. ორახელაშვილი ახლა [illegible] ხელმძღვანელობს [illegible] მის კოლეგიაში. რომ [illegible] (ორახელაშვილის [illegible]) ნაწერების შესახებ. პირველ რიგში მის წმენდას ჩატარებდინ.

12 იანვრის საღამოს სხდომა

ამხ. ნატა ლობჟანიძე

(სტალინის რაიონის სოფ. ხცისის კოლმეურნეობა „მოწინავეს" თავმჯდომარე)

მხურვალე სალამი სტალინის რაიონის კოლმეურნეების სახელით საქართველოს კომპარტიის (ბოლშევიკების) მე-9 ყრილობას (ტაში).

ამხანაგებო, ჩვენს ყრილობაზე მრავალმა ამხანაგმა აღნიშნა როგორც ნაკლი, ისე მიღწევები. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორი დამახინჯებები იყო 1931 წელს, სოფლის მეურნეობაში.

ნახატი გ. კახიძის.



საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობის დელეგატი ამხ. ნატა ლობჟანიძე

მოწინავე ბოლშევიკებს არ უნდა დაგვავიწყდეს ის დამახინჯებები, რომელიც აღმოფხვრილი იქნა ჩვენს სოფლის მეურნეობაში, მის ყველა სექტორში კომუნისტური პარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობით ამხ. ლ. ბერიას მეთაურობით.

მე უნდა ვილაპარაკო ჩვენს კოლმეურნეობაზე. ჩვენს კოლმეურნეობაში 1933 წლის სექტემბრამდე გაერთიანებული იყო 40 კომლი. დღეს კი გაერთიანებულია 87 კომლი. სექტემბერში კოლმეურნეობაში მივიღეთ 47 კომლი.

სახნავი ფართობი გვაქვს 200 ჰექტარი. 100 ჰექტარში დათესილია პური. საკონტროლო ციფრით მოცემული გვქონდა 86 ჰექტარი. მაგრამ ჩვენ ამის მაგივრად დავთესეთ 100 ჰექტარი.

ჭარხლის კულტურა სტალინისის რაიონში მთავარი კულტურაა. აგარის შაქრის ვეებერთელა ქარხანა როგორც იცით თხოულობს ზედმეტ ჭარხალს.

ჩვენ საკონტრ. ციფრით ჭარხალი დათესილი გვქონდა 21 ჰექტარი. აქ საშუალოდ უნდა აგვეღო 71 ცენტნერი ჭარხალი და ჩაგვებარებინა სახელმწიფოსათვის. მაგრამ ნაცვლად 71 ცენტნერისა, ამხანაგებო, ჩვენ ჩავაბარეთ 100 ცენტნერი (ტაში). ეს იმიტომ, რომ ჩვენ ბოლშევიკურად ვიბრძოდით ამისთვის.

ეხლა უნდა შევჩერდე ქალთა შრომის გამოყენებაზე.

როგორ არის ქალთა შრომა გამოყენებული სტალინისის რაიონში? შეიძლება ითქვას, რომ ქალთა შრომა 90 პროცენტით არის გამოყენებული, რაც არადამაკმაყოფილებელია. ეს იმიტომ კი არ არის, რომ სტალინისის რაიონის ქალები ზარმაცები არიან. არამედ „ობიექტიური" მიზეზების გამო (სიცილი, ტაში) ეს იმიტომ, რომ ქალებს საშუალება არა აქვთ. როდესაც მინდორში სამუშაოდ გამოდიან ბავშვები დასტოვონ სახლში. ამისათვის საჭიროა შეიქმნას საბავშვო ბაგა მსხვილ კოლმეურნეობაში, რაც მუშაობაში ძალიან შეგვიწყობს ხელს. იმედია, რომ ამ საქმეში ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით ჩვენი ცენტრალური კომიტეტი დაგვეხმარება და გახსნას ჩვენს რაიონში საბავშვო ბაგას, რომ ქალებს საშუალება მიეცეთ აქ დასტოვონ თავიანთი ბავშვები. მაშინ კი ჩვენ გამოვიყენებთ სრული პროცენტით ქალთა შრომას. ჩვენს კოლმეურნეობას მიზნად აქვს დასახული, რომ მან გახსნას საბავშვო ბაგა, მუშ.ს და ჩვენი კოლმეურნეების შვილებისათვის.

გაუმარჯოს მე-9 ყრილობას!

გაუმარჯოს ამხ. სტალინს!

ჩვენ ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით შევძლებთ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ახალი მიღწევების მოპოვებას (მქუხარე ტაში).

ამხ. კ. ორაგველიძე

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. კომი[illegible]ტი)

31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებაში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენება ამ პარტორგანიზაციებში. მარქსისტულ - ლენინური აღზრდის, პარტიული კადრების საქმე საქართველოში მაშინ მართლაც უკიდურესად ცუდად იყო დაყენებული. მაგ. 30-31 წელს პარტგანათლების ქსელში გაიარა კომუნისტების მხოლოდ 23 პროცენტმა.

დღეისათვის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა; ახლა ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ სერიოზული გამარჯვება მარქსისტულ - ლენინური აღზრდის, მარქს - ლენინ - სტალინის თეორიით კომუნისტების შეიარაღების ფრონტზე. 31-32 წელს პარტგანათლების ქსელში გაიარა კომუნისტების 50 პროცენტმა, 32-33 წელს 82 პროცენტმა. ამჟამად კი ამ ქსელში ჩაბმულია კომუნისტების თითქმის 100 პროცენტი. ეს სერიოზული გამარჯვებაა. გაუმჯობესდა აგრეთვე პროპაგანდისტთა შემადგენლობა და სწავლების ხარისხი.

მიუხედავად ამისა, ამ დარგში ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. აი ზოგიერთი ფაქტი: ერთერთი პროპაგანდისტი ასე ახსნიდა დემოკრატიულ ცენტრალიზმს: „თუ ზემდგომი ორგანოების დადგენილება სავალდებულოა ქვემდგომი ორგანიზაციისათვის. მაშინ ქვემდგომი ორგანიზაციის დადგენილებაც სავალდებულოა ზემდგომი ორგანოებისათვის" (სიცილი) გამოდის, რომ უჯრედის დადგენილება სავალდებულოა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის და პირიქით; ამგვარად, გადაწყვიტა ამ ერთ-ერთმა პროპაგანდისტმა დემოკრატიული ცენტრალიზმის საკითხი. ერთი პროპაგანდისტი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის იანვრის პლენუმის დადგენილების შესახებ ამბობდა: „მუშაობის ძველი მეთოდები აღარ გამოდგებოდა, რადგან კულაკმა დაკარგა ნდობაო". გამოდის, რომ წინეთ კულაკს ქონდა ნდობა და იანვრის პლენუმის შემდეგ დაკარგა ასეთი და თითქოს ამით აიხსნება ჩვენი მუშაობის მეთოდების შეცვლა. მეორე პროპაგანდისტი ამბობდა: „როცა ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, მაშინ კულაკი შეეცადა ხელში ჩაეგდო იგი და ამიტომ მოვახდინეთ ამ მიწების ნაციონალიზაციაო". ასეთი ფაქტები ბევრია; ისინი ადასტურებენ, რომ პარტორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევენ პარტიული სწავლების ხარისხს, რის შედეგად პარტიული აღზრდის ნაცვლად ზოგჯერ ვიღებთ ანტიპარტიულ, ანტილენინურ აღზრდას. საჭირო ყურადღების მიუქცევლობის გამო, პროპაგანდისტების ან მსმენელთა მიზეზით ზოგან ჩაიშალა წრეების მუშაობა. საჭიროა სკოლის ან წრის არა მარტო მოწყობა, არამედ მასზე სისტემატიური ხელმძღვანელობა.

ორიოდე სიტყვა პრესის შესახებ ამ დარგში ჩვენ შევასრულეთ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება. თითქმის ყველა რაიონში გამოდის რაიონული გაზეთი, მთავრდება პოლიტგანყოფილებათა გაზეთების ორგანიზაცია; გასულ წელს რაიონში გავზავნეთ 65 სარედ.-ქცირო მუშაკი. მიუხედავად ამისა, საგაზეთო კადრების მომზადების დარგში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთი რაიონული გაზეთი იმის მაგივრად, რომ საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში; იყოს მასების მობილიზაციის იარაღი, უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ზოგჯერ მეტად საეჭვო ღირსების „თეორიულ" აბდაუბდებს; ერთი რაიონული გაზეთი წერს: „მარქსმა დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური წარმოების განსაზოგადოების გიგანტური პროცესი წარმოადგენს კაპიტალიზმის სოციალიზმად გადაქცევის უმთავრეს მატერიალურ საფუძველს". ეს არის მოდერნიზებული კაპიტალიზმის თეორია, რომელიც შემოგვთავაზა მარაიონო გაზეთმა. ალბულ-მანგლისის გაზეთშიც ხშირით მთელ რიგ არასწორ ფორმულირებებს და შეცდომებს. ეს გაზეთი წერს: „რელიგიურ მოძღვრებათა უსაფუძვლობა დაინახეს დასავლეთის ბურჟუაზიის მოწინავე ადამიანებმა, მაგრამ მათ [illegible]კრიზისებულია არ შეუძლიათ ბოლომდე იბრძოლონ ამ მოძღვრების წინააღმდეგ". (1933 წლის 16 აპრილი). თითქოს ბურჟუაზიის მოწინავე ადამიანებმა ოდესმე დააყენეს რელიგიასთან ბოლშევიკური ბრძოლის საკითხი. იმავე გაზეთში (1933 წლის 24 აგვისტ.) პარტიის მეორე ყრილობის შესახებ ვკითხულობთ: „ლენინი პლეხანოვთან ერთად მგზნებარედ გამოვიდა მარტოვის ფორმულის წინააღმდეგ და მხოლოდ ამ ბრძოლის შემდეგ მიიღო ყრილობის უმრავლესობის (ბოლშევიკების) ხოლო მარტოვის მომხრეები ნაწილმა (მენშევიკები)". ეს არ შეეფერება სინამდვილეს. რადგან ლენინის ფორმულის საკითხში მეორე ყრილობაზე ბოლშევიკებმა მიიღეს უმცირესობა. სავსებით სწორად არაა გაშუქებული აგრეთვე პლეხანოვის როლი.

სარეწაო კოოპერაციის გაზეთი წერს, რომ „სარეწაო კოოპერაციის სისტემას გააჩნია ისეთი თავისებურებანი, რომლებიც აუცილებლად იწვევენ პარტიის წევრების გადაგვარებას. აქცევენ მათ ყოფილი ადამიანების გავლენის ქვეშ". აქედან [illegible] ვინც არ უნდა გაგზავნოთ სარეწაო კოოპერაციაში, აუცილებლად მოექცევა ყოფილი ადამიანების გავლენის ქვეშ. ყველა ეს ფაქტი ლაპარაკობს, რომ რაიონულ გაზეთებს ზოგჯერ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი პარტორგანიზაციები. გაზეთი წარმოადგენს პარტიის დირექტივების განხორციელებისათვის ბრძოლის მახვილ იარაღს.

ის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

უნდა ვილაპარაკო ბოლშევიკური პრესის გავრცელების შესახებ. ეს საქმე ყოვლად უმსგავსოთაა დაყენებული; იგი აბარია „სოიუზპეჩატს" და ფოსტას. ცენტრალური კომიტეტის ჩარევის შემდეგ „სოიუზპეჩატის" მუშაობა გაუმჯობესდა, მაგრამ არავითარი გაუმჯობესება არ მომხდარა კავშირგაბმულობის ორგანოების მუშაობაში. გაზეთის დაგვიანებით მიწოდება ხელისმომწერლისათვის, აუარესებს გაზეთების ფინანსიურ მდგომარეობას და ხელს უშლის მათი ტირაჟის ზრდას. ერთმა ამხანაგმა 1933 წ. ოქტომბერში გვაცნობა: „ყვარელის ფოსტა [illegible]ახვერიდან ყრის გაზეთები და ჟურნალები, ხელის მომწერლები მათ მისაღებათ თვითონ მიდიან ფოსტაშიო". დუშეთიდან იწერებიან: „ფოსტა - ტელეგრაფის განყოფილებამ კიდევ უფრო გააუარესა გაზეთების მოწოდება, რაც იწვევს ხელისმომწერთა უკმაყოფილებასო". [illegible]ში, 826 ის ნაცვლად მიიღეს 26 ცალი „კომუნისტი". ჭიათურიდან გვწერენ: „გამოვიწერეთ 1999 ცალი „კომუნისტი" და მივიღეთ 1000 ცალი, „მუშა"—1883-ის ნაცვლად მივიღეთ 1741 ცალიო", ყველა ეს ფაქტი მიუთითებს ფოსტის ყოვლად უმსგავსო მუშაობაზე. ფოსტა დღემდე არ თვლის ბოლშევიკური პრესის გავრცელებას თავის ნამდვილ საქმედ; პარტიამ და ხელისუფლებამ კი სწორეთ მას დაავალა ეს საქმე. ამ დარგში უნდა მოხდეს სერიოზული გარდატეხა.

მოკლეთ შევჩერდები რევოლუციური მოძრაობის და ჩვენი პარტიის ისტორიის საკითხებზე. ამხ. ბერია აქ დაწვრილებით შეეხო ამ საკითხს. შეიძლება ყველა ამხანაგისათვის არ იყოს ცხადი ამ საკითხების ირგვლივ ყურადღების გამახვილების მნიშვნელობა.

ამხანაგებო! ამხ. ლავრენტის გამოსვლა ამ ყრილობაზე საფუძველს უყრის სერიოზულ გარდატეხას სამეცნიერო - თეორიულ და იდეოლოგიურ ფრონტზე, ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ ბრძოლის და თვითკრიტიკის გაშლის დარგში; ამ გამოსვლით საქართველოში ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები კიდევ უფრო მაღალ პოლიტიკურ დონეზე იდგის. ამხ. ლავრენტიმ პირველმა წამოაყენა თეზისი რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში და ამიერ - კავკასიასა და საქართველოში ბოლშევიზმის ჩასახვასა და წარმოშობაში ამხანაგ სტალინის უდიდესი როლის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ის თეზისი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და რომელსაც დღემდე უარყოფდა ზოგიერთი ისტორიკოსი — კომუნისტი, აუცილებლად შევა ჩვენი პარტიის ისტორიის რკინის არსენალში.

ამხ. ფ. მახარაძე აქ ლაპარაკობდა თავის ისტორიულ ნაშრომებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. მახარაძის შრომები („1905 წ.", „მუშათა მოძრაობის ისტორია საქართველოში", და სხ.), საიდანაც მე მოვიყვან ამონაწერებს, გამოქვეყნებულია უკანასკნელ პერიოდში, 32-33 წლებში, ეს არის უკანასკნელი ნაშრომებია. თუ ავიღებთ ამხ. ფილიპეს ძველ ნაშრომებს, რასაკვირველია იქაც შევხვდებით მეტად სერიოზულ შეცდომებს. მაგრამ ამაზე ახლა მე არ შევჩერდები.

აქ მე მხოლოდ ერთ გარემოებას უნდა გავუსვა ხაზი. მე ვამტკიცებ, რომ ამხანაგმა ფილიპემ **ვერ გაიგო თავისი შეცდომები, არ იცნო და არ აღიარა ისინი.** ერთი მხრივ მან აღნიშნა, რომ არაა სწორი თითქოს ის თავის ნაშრომებში არ შეხებოდეს ამიერ - კავკასიასა და საქართველოში რევოლუციურ მოძრაობაში ამხანაგ სტალინის უდიდეს როლს. მეორე მხრით კი ამხანაგმა ფილიპემ მიგვითითა თავის უკანასკნელ სტატიაზე, რომელიც მოთავსებულია კრებულში „პროლეტარული რევოლუცია" (გამოვიდა ქართულ ენაზე 1933 წელს). მან ამ სტატიიდან მოიყვანა ერთი ადგილი და აღნიშნა, რომ ეს ადგილი სავსებით სწორია. მე ვამტკიცებ, რომ არც ეს ადგილია სწორი. აი რა სწერია იქ: „ოპორტუნიზმის საფუძვლის ჩამყრელად საქართველოში გახდა ნოე ჟორდანია, რომელიც შემდეგ გადაიქცა ქართული მენშევიზმის მამამთავრად, რაც შეეხება მარქსიზმის რევოლუციურ ფრთას, მას ჰყავდა წარმომადგენლების მთელი რიგი. რომელთაგან შემდეგ გამოვიდა ამხ. სტალინი, რომელიც მოკლე დროში შეიქნა რევოლუციური მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსი, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ამიერ - კავკასიაში" (გვ. 19).

მაშ ასე: რევოლუციურ ფრთის სათავეში იდგა მარქსისტების ჯგუფი და აი ამ ჯგუფიდან **მხოლოდ შემდეგ ხანებში** გამოვიდა ამხანაგი სტალინი, რომელიც მოკლე დროში გახდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობის ხელმძღვანელი; მაშასადამე, იმ მომენტამდე, როდესაც სტალინი გახდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელი"; ვიღაც უნდა ყოფილიყო ასეთი, ვიღაც უნდა ყოფილიყო მაშინდელი ორგანიზაციის მომწყობი, უნდა გაეძღოლოდა მაშინდელ რევოლუციურ მოძრაობას. აი ამიტომ, როდესაც ამხანაგ ფილიპემ მოიყვანა ეს ამონაწერი მე დავრწმუნდი, რომ მან ვერ გაიგო თავისი შეცდომები, რომელთა აღიარებაზე ის აქ ლაპარაკობდა; ამას ამტკიცებს მეორე ადგილიც ამხ. ფილიპეს უკანასკნელ წიგნში, სადაც იგი სტალინს იხსენიებს მხოლოდ ცაბაძესთან, ჩოდრიშვილთან, ს. ჯიბლაძესთან და სხვებთან ერთად (გვ. 17).

ამხ. ფილიპეს ეს შეცდომა დაკავშირებულია მის მეორე შეცდომასთან: თუ ის შეცდომა გამოსწორდება, მაშინ პირველი შეცდომაც იქნება შეგნებული და გამოსწორებული. რომელი შეცდომის შესახებ ვლაპარაკობ მე აქ? მე მხედველობაში მაქვს პოლიტიკურ ასპარეზზე ამხანაგ სტალინის გამოსვლამდე არსებული პერიოდის შეფასება, მესამე დასის" პერიოდის, ეგრეთწოდებული „მესამედასელების" ანუ „კვალელთა" შეფასება. ამხ. ფილიპეს მთელ რიგ უკანასკნელ შრომებში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „მესამე დასი" წარმოადგენს მარქსისტულ ჯგუფს, რომელმაც მუშებს განუმარტა მარქსიზმის დედა-აზრი, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში „აღმოცენდა ახალგაზრდა მარქსისტების ჯგუფი, რომელმაც თავისი პირველი გამოსვლა დაიწყო ლეგალური პრესის საშუალებით". ს. ჯიბლაძემ „თავის სიტყვაში საფლავზე გააცნო აუდიტორიას ახალი მიმდინარეობის არსი, მარქსიზმის დედა-აზრი" („მუშათა მოძრაობის ისტორია" გვ. 162—63).

მე ვფიქრობ, რომ დებულება, თითქოს მესამე დასი წარმოადგენდა მარქსისტულ ჯგუფს არაა სწორი, ეს ამ ჯგუფის შემცდარი შეფასებაა. ეს ჯგუფი წარმოადგენდა სხვას არაფერს, თუ არა იმ ოპორტუნიზმის ერთერთ სახეობას. რომელიც მაშინ არსებობდა რუსეთში, წარმოადგენდა ლეგალური მარქსიზმის" ერთერთ სახეობას. ეს ჯგუფი მიზნათ ისახავდა ილია ჭავჭავაძის („ივერია") წინააღმდეგ ბრძოლას და სტრუვესებურად ასაბუთებდა ამიერ - კავკასიაში და საქართველოში კაპიტალიზმის შეუფერხებლივ განვითარების თეზისს. რაც რასაკვირველია სრულიად არ წარმოადგენს მარქსიზმს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამიერ - კავკასიის და საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში ამხ. სტალინის უდიდესი როლის შესახებ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სწორედ ის გარემოება, რომ პირველი ხელმძღვანელი, ნამდვილი რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორი, პირველი ნამდვილი **რევოლუციონერი მარქსისტი**, რომელმაც მოაწყო **ნამდვილი მარქსისტული მუშათა წრეები** და პარტორგანიზაციები იყო ამხანაგი სტალინი. აი ამ თეზისს უარყოფდა აქამდის ამხ. ფილიპე. მე ვფიქრობ, თუ ამხანაგი ფილიპე გადაათვალიერებს თავის თვალსაზრისს „მესამე დასის" შეფასების საკითხში, ის მიხვდება და შეიცნობს ამ შეცდომასაც.

ჩვენთან აქა-იქ კიდევ ჰპოულობს გასავალს ის აზრი, რომ ჟორდანია და საერთოდ მენშევიკები რევოლუციამდე ნამდვილი მარქსისტები და ნამდვილი რევოლუციონერები იყვნენ და აი, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გახდნენ არამარქსისტები. მე მოვიყვან ერთ ადგილს. ჟორდანიას წიგნის — „ნაციონალური საკითხი" წინასიტყვაობაში კომუნისტი კაკაბაძე წერდა შემდეგს: „მიუხედავად ამისა, ჟორდანიას თხზულებანი ახლა საინტერესოა თავისი ისტორიულ - ეკონომიური დოკუმენტებით; მკითხველს, რომელსაც სურს ნაციონალური საკითხის შესწავლა, ურჩევ ყურადღებით შეისწავლოს ეს წიგნი და შეადაროს ერთმანეთს ჟორდანია-მარქსისტი (1919 წლამდე) ჟორდანია - ნაციონალისტს (1918 წლის შემდეგ)". კაკაბაძის აზრით გამოდის, რომ ყოფილა ორი ჟორდანია: ჟორდანია - მარქსისტი 1918 წლამდე, ხოლო 1918 წლის შემდეგ არამარქსისტი. ეს ძირშივე შემცდარი დებულებაა. ამ დებულებას ახლა აღარ იმეორებენ ნაშრომებში, მაგრამ თუ მე ამის შესახებ ვლაპარაკობ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აქაიქ ჯერ კიდევ სცოცხლობს და თავის მომხრეებიც ჰყავს. ყველა ამგვარ შეცდომების წინააღმდეგ ჩვენ უნდა გავშალოთ გადამწყვეტი ბრძოლა. (ბერია — როდისაა დაწერილი?) დაწერილია 1922 წელს.

ჩვენ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ყოველგვარ ანტი-ლენინურ დებულებათა და დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბოლშევიკური სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე.

ყრილობის დღიური

საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობის 13 იანვრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ყრილობის მიერ მოსმენილ მოხსენებათა გარშემო.

კამათში გამოვიდნენ: ამხ. **კილაძე** (ოზურგეთი), **დეკანოზიშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი [illegible] დარგში), **ლაკობა** (აფხაზეთის ცაკი), **ყურულაშვილი** (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი), **ბასტაძე** (სარეწაო საბჭო), **ასხაძე** (ტყიბული), **აფციაური** (გორი), **შ. ლეჟავა** (საქ. წითელი ჯვრის ც. კ.), **ბუაჩიძე** (წითელი არმია) **მკრტიჩიანი** (ახალქალაქი), [illegible] (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის [illegible]) [illegible]დაძე (გურჯაანი).

შემდეგ ყრილობას განცხადებით მიმართა ამხ. **ფილიპე მახარაძემ**.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ლ. ბერია**.

ყრილობის დელეგატები ფეხზე მდგომი ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან თავის ბელადს, საბჭოთა საქართველოს გამარჯვებათა ორგანიზატორს.

გაჭედილი დარბაზი დაძაბული ყურადღებით ისმენს ამხ. **ბერიას** საბოლოო სიტყვას.

ამხ. **ლ. ბერიას** სიტყვის დასასრული იფარება ოვაციებით.

ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის — ამხ. **ფანცხავას** მოხსენება.

ყრილობას დაესწრო 567 დელეგატი, აქედან პარტიული სტაჟით 1917 წლამდე— 66 კაცი 1917-დან 1928 წლამდე — 257 კაცი და სხვ.

ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენების გარშემო მქუხარე ტაშით ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ყრილობა, რომელმაც განიხილა ამხ. **ბერიას** საანგარიშო მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, სწორად სთვლის პარტიული ორგანიზაციის მდგომარეობის და მუშაობის იმ შეფასებას, რომელიც მოცემულია მოხსენებაში და სავსებით იწონებს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ხაზს და მის მიერ ჩატარებულ პრაქტიკულ მუშაობას.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მთელი მუშაობა ტარდებოდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების და ამხ. სტალინის პირადი მითითებების საფუძველზე.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მოხსენების გამო ყრილობამ მიიღო შემდეგი შეფასება: საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად და ამხ. კაგანოვიჩის [illegible] ცენტრალური საკონტროლო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ ცნობილ იქნას სწორად და დროულად, ყრილობამ აგრეთვე დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

ყრილობამ აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობაში 101 წევრი და 40 კანდიდატი.

მქუხარე ოვაციით საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობაში ყრილობამ პირველი აირჩია პარტიის ბელადი ამხ. **სტალინი**.

ყრილობამ აირჩია სარევიზიო კომისია 11 კაცის შემადგენლობით. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მომავალ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ყრილობამ დატოვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური, საკონტროლო კომისია ძველი შემადგენლობით. საკავშირო ყრილობაზე საკითხის გადაწყვეტამდე.

ყრილობამ აირჩია პარტიის ამიერ-კავკასიის მე-7 ყრილობის დელეგატები. დელეგატებს შორის არიან: ამხ. **ლ. ბერია**, **მ. მეხრაზოვი**, **ალნიაშვილი**, **ბაგირ[illegible]**, **მგალობლიშვილი**, **ხანჯიანი**, **ფ. მახარაძე**, **დოგადოვი**, **ამატუნი**; **ტ. [illegible]ფანიძე**, [illegible] **ხ. ჯულფ[illegible]**, **გ. არუთინოვი**; **გ. ყურულაშვილი**, **მათიკაშვილი**, **ბაქრაძე**; **დეკანოზიშვილი**; **ბუნიატ-ზადე**; **გ. სტურუა**, **ხ. ბუაჩიძე**, [illegible], [illegible], **ვაცეკი**; **ქ. [illegible]**, **ზ. [illegible]**, **ს. ქუხალეიშვილი**, **მ. კვარაცხელია**, **დ. კილაძე**, [illegible], **ლევანდოვსკი**; **მასლენიკოვი** და სხვ.

შემდეგ ყრილობამ აირჩია საკ. კ. პ. (ბ) მე 17 ყრილობის დელეგატები.

ყრილობის პირველ დელეგატად მქუხარე ტაშით არჩეულია ამხ. **სტალინი**. ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან ამხ. **ს. ორჯონიკიძე**, **ლ. ბერია**, **მ[illegible]**, **ალნიაშვილი**; **მახარაძე**, **მგალობლიშვილი**, **არუთინოვი**; **ლაკობა**, **გეურქოვი**; **გ. სტურუა**, **ვაცეკი**, **ამატუნი**; **ლევანდოვსკი**; **ბუაჩიძე**, **გოგლიძე**, **ყურულაშვილი** და სხ.

ყრილობა დაიხურა ძველი ბოლშევიკის სილიბისტრო **თოდრიას** მოკლე სიტყვით. ([illegible])

ამხ. ს. ქავთარაძე

(წალენჯიხის სამ. - სატრ. [illegible]ურის პოლიტგანყოფილება)

წალენჯიხა ძირითადად ჩაის რაიონს წარმოადგენს. **ჩაის კულტურის შემოსავალი შეადგენს წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითად ნაწილს**; ამის დასამტკიცებლად საკმარისი იქნება შემდეგი ფაქტის მოყვანა: მიმდინარე წელს რაიონის 1456 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან აღებულ იქნა 6590 ცენტნერი მარცვლეული მაშინ, როდესაც 1426 ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან კოლმეურნეებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს 16 ათასი ცენტნერი მარცვლეული. ეს თვალსაჩინოდ ამტკიცებს, რომ **ჩაი აქ გადაქცეულია კოლმეურნეთა შემოსავლის ძირითად წყაროდ.**

გარდა ამისა (ცალკე მაგალითების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, თუ როგორი ჩქარი ნაბიჯებით მიდიან ჩვენი კოლმეურნენი შეძლებული ცხოვრებისაკენ: ამხ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (სოფელ ფახულანი) 1931 წელს მიიღეს 642 ცენტნერი მარცვლეული, 1932 წელს 940 ცენტნერი და 1933 წელს კი 1293 ცენტნერი.

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ძაძამიამ მიმდინარე წელს გამოიმუშავა 350 შრომა - დღე და მიიღო 226 ფუთი ხორბალი და 818 მანეთი ფულად. იმავე კოლმეურნეობის წევრმა დომენტი ხურცილავამ 33 წელს გამოიმუშავა 450 შრომა დღე, მიიღო 309 ფუთი ხორბალი და 1116 მანეთი ფულად. მანვე შეიძინა 350 მეტრი მანუფაქტურა, საკერავი მანქანა, რკინის საწოლი და მთელი რიგი სხვა საოჯახო მოწყობილობანი.

მიუხედავად ყოველივე ამისა უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეთა სამეურნეო ორგანიზაციულ და პოლიტიკურ განმტკიცების მხრივ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. პოლიტგანყოფილება ღებულობდა, და ღებულობს ზომებს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის. პოლიტგანყოფილებამ დიდი მუშაობა ჩაატარა კოლმეურნეობების უცხო მოძალების ელემენტებისაგან გაწმენდის, კადრებით გამაგრების, და ქალთა შრომის გამოყენების გაუმჯობესებისათვის და სხვა.

ჩვენს რაიონში შემჩნეულია, რომ მიწის საერთო შრომით დამამუშავებელი ამხანაგობები სტაბილურ მდგომარეობაში რჩებიან და არ წარმოებს სათანადო მუშაობა მათ გადასაყვანად არტელის წესდებაზე. აღნიშნული ამხანაგობებისა და სასოფლო - სამეურნეო არტელის წევრები სარგებლობენ ერთნაირი შეღავათებით. ჩვენის აზრით საჭირო იქნება ამ საკითხის გადასინჯვა და სასოფლო სამეურნეო არტელებისათვის უფრო მეტი შეღავათების დაწესება.

ყველა ის მიღწევები, რომლებიც მოიპოვა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და წალენჯიხის ორგანიზაციამაც, არის იმ ნამდვილი კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგი, რომელსაც საქართველოს კომპარტია და პირადად ამხ. ლავრენტი ბერია უწევს ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს.

ახალი—პარტიის წესდებაში

ჩვენი პარტია, როგორც ამხ. სტალინი ხაზს უსვამს „ლენინიზმის საფუძვლებში". **არის ახალი ტიპის პარტია**. მისი განსხვავება მე-2 ინტერნაციონალის პარტიებისაგან, სხვათაშორის, იმაში მდგომარეობდა, რომ ის ჯერ კიდევ პროლეტარული რევოლუციის ბჭეებთან წარმოადგენდა მებრძოლ, რევოლუციურ, საკმაოდ გაბედულ პარტიას იმისათვის, რომ წაეყვანა პროლეტარები ხელისუფლებისათვის ბრძოლისაკენ; საკმაოდ გამოცდილს იმისათვის რომ გარკვეულიყო რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში". ჩვენი პარტიის მთავარი თავისებურობანი მდგომარეობენ იმაში, რომ ის წარმოადგენს პროლეტარიატის ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას. მისი დიქტატურის იარაღს, ნებისყოფის მთლიანობას, რაც შეუთავსებელია ფრაქციების არსებობასთან.

ბოლშევიზმის მთელი ისტორია თვალსაჩინოდ ცხადყოფს ჩვენი პარტიის, როგორც ახალი ტიპის პარტიის, ძალას და ძლიერებას. ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის მთელი გზა ადასტურებს, რომ მხოლოდ ჩვენს პარტიას შეუძლია გადასჭრას მუშათა კლასის ისტორიული ამოცანები.

პარტიის წესდება ახალი რედაქციით, რომელიც წარედგინება დასამტკიცებლად ყრილობას, **აგებულია ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპებზე და სავსებით გამოსახავს ახლანდელ პირობებში პარტიის მუშაობის დაგროვილ გამოცდილებას.**

ამის მიხედვით. წესდებაში განსაკუთრებით ხაზგასმულია **პარტიის წევრის როლის ამაღლება, დისციპლინის და პარტიის მთლიანობის საკითხები პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის და შემოწმების საკითხები და, დასასრულ, პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა სოციალიზმის მშენებლობაში.**

ჯერ კიდევ მენშევიკებთან დავის დროს მე-2 ყრილობაზე **ლენინი** აღნიშნავდა, რომ ჩვენი ამოცანაა—გავუფრთხილდეთ პარტიის სიმტკიცეს, დავიცვათ მისი სიწმინდე. „ჩვენ უნდა ვეცადოთ,—ლაპარაკობდა ის—ავწიოთ პარტიის წევრის სახელწოდება და მნიშვნელობა მაღლა. მაღლა და კიდევ მაღლა" ლენინის ამ მითითებამ განსაკუთრებული სიძლიერე მოიპოვა იმ პერიოდში როცა ჩვენი პარტია იქცა **მმართველ** პარტიად პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში მაგრამ მას კიდევ მეტი ძალა ეძლევა ახლა, როცა პარტიას უკანასკნელი გადამწყვეტი იერიში მიაქვს კაპიტალიზმის ნაშთებზე და სწყვეტს ახალი საზოგადოების შექმნის გიგანტურ ამოცანებს.

ამიტომაც ახალ წესდებაში, იმის განსაზღვრასთან ერთად, თუ ვინ ჩაითვლება პარტიის წევრად. არის მუხლი კომუნისტის **მოვალეობათა** შესახებ—დაიცვას უსასტიკესი პარტიული დისციპლინა, აქტიურად და შეგნებულად გაატაროს ცხოვრებაში პარტიის პოლიტიკა და პარტიული ორგანოების გადაწყვეტილებები; დაუღალავად იმუშაოს თავის იდეურ შეიარაღებაზე და განუმარტოს მასებს პარტიის ლოზუნგები; იყოს მაგალითის მიმცემი შრომითი და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვაში და ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას.—ეს არის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც ამჟამად თვითეული კომუნისტის წინაშე დგას.

წესდების ახალ პუნქტს კომუნისტების მოვალეობათა შესახებ დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიდევ იმიტომ, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი პარტიის შემადგენლობა თვალსაჩინოდ გადიდდა. მაგრამ ცალკე შემთხვევებში პარტიის შემადგენლობის რაოდენობრივი გაფართოება ხშირად ხდებოდა მისაღებთა ხარისხის საზიანოდ. ამ უმსხვილეს პარტიულ ორგანიზაციაში დასრულებულმა წმენდამ ცხადყო პარტიის რიგების ერთგვარი დანაგვიანება უცხო და მტრული ელემენტებით, წმენდამ უკვე გამოააშკარავა პარტიის რიგებში ისეთი ადამიანების არსებობა, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან მომზადებული იმისათვის, რომ პარტიაში იყვნენ. წმენდის გაკვეთილები წესდებაში მთლიანად გათვალისწინებულია. იქ არის სპეციალური პუნქტი კლასობრივად უცხო მტრული ელემენტებისაგან, ყალთაბანდებისა, რკინისებური დისციპლინის დამრღვევებისა, გადაგვარებული ელემენტებისა, კარიერისტებისა, წამგლეჯებისა, ბიუროკრატებისა, მორალურად გახრწნილი და პასიური ელემენტებისაგან პარტიის სისტემატიური გაწმენდის შესახებ.

უფრო მკაცრი მოთხოვნები წარედგინებათ პარტიაში შემსვლელთ, რაც აგრეთვე უეჭველია, დაიცავს პარტიულ რიგებს მათი გაბერვისაგან მერყევი და მოუმზადებელი ადამიანებით. ლენინი ჯერ კიდევ 1922 წელს ლაპარაკობდა, რომ საჭიროა „სასტიკი პირობები პარტიაში ახალი წევრების მისაღებად", და დაბეჯითებით მოითხოვდა გაგრძელებულ ყოფილიყო სტაჟის ვადები „რომლებიც მართლაც გახდიდენ სტაჟს უდრეკად სერიოზულ გამოცდად, და არა უბრალო ფორმალობად". ლენინის ამ აზრმა, რომელიც ამხ **სტალინს** არა ერთხელ გაუმეორებია, ახალ წესდებაში თავისი მკაფიო გამოხატულება ჰპოვა.

პარტიის წევრად მიღება მხოლოდ ინდივიდუალური წესით ხდება. ახალი წევრები მიიღებიან იმ კანდიდატთა რიცხვიდან, რომელთაც გაუვლიათ დადგენილი საკანდიდატო სტაჟი, პოლიტცოდნის სკოლა და შეუთვისებიათ პარტიის პროგრამა და წესდება. ყოველმა შემსვლელმა, სანამ ის პარტიაში მოხვდებოდეს, უნდა გამოიჩინოს თავი აქტიური მუშაობით ამა თუ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში ყველა მისაღები დაყოფილია ოთხ კატეგორიად (ისე როგორც წინანდელ წესდებაში იყო). ამასთან მუშები, თავის მხრივ, დაყოფილი არიან ორ კატეგორიად. პარტიის წევრად ყველა მისაღებისათვის. მათ შორის სხვა პარტიებიდან გამოსულთათვისაც, გადიდებულია რეკომენდაციების რიცხვი, რომლებიც მათ უნდა წარადგინონ. და გაგრძელებულია რეკომენდაციის მიმცემთა პარტსტაჟი.

ამავე დროს გადიდებულია საკანდიდატო სტაჟი.

წესდებაში ახალია — თანამგრძნობთა ჯგუფების შესახებ. პარტიასთან უფრო მახლობელ უპარტიო აქტივისტებისათვის, რომელთაც საქმით ცხადყვეს თავისი ერთგულება კომუნიზმისადმი, მაგრამ რომლებიც პოლიტიკურად ჯერ კიდევ არ არიან მომზადებული, პირველად პარტორგანიზაციებთან იქმნება საკ. კ. პ. (ბ) თანამგრძნობთა ჯგუფები. ჯგუფები, უეჭველია, დიდ როლს შეასრულებენ როგორც მასებზე პარტიული გავლენის შემდგომ გაძლიერებაში, ისე ახალი პარტიული ძალების გულდასმით შერჩევაში

იმ მაღალ მოთხოვნებთან ერთად, რომლებსაც ახალი წესდება თვითეულ კომუნისტს უყენებს განსაკუთრებით ხაზგასმულია აზრი [illegible]. პარტიული დისციპლინის და უმრავლესობისადმი უმცირესობის დამორჩილების შესახებ, ზემდგომი ორგანოებისა და პარტიის ყველა წევრისათვის უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებათა უცილობლად სავალდებულო ხასიათის შესახებ და, ბოლოს, ბოლშევიკური შინაპარტიული დემოკრატიის და თვითკრიტიკის შესახებ. ყველა ეს საკითხი განუყრელადაა დაკავშირებული ბოლშევიზმის ბუნებასთან. ჩვენი პარტია ძლიერია იმიტომ რომ მასში გაბატონებულია რკინისებური დისციპლინა ბოლოდან თავამდე [illegible] სიმწყობრით, ძლიერია იმიტომ, რომ იგი ყოველთვის განირჩეოდა ნებისყოფის და მოქმედების ერთიანობით.

ახალ წესდებაში დაწვრილებითაა ლაპარაკი შინაპარტიულ დემოკრატიასა და პარტიულ დისციპლინაზე და ხაზგასმულია რომ „**პარტიის ერთიანობის დაცვა, ულმობელი ბრძოლა ფრაქციული ბრძოლის, გათიშვის სულ მცირედ ცდებთან, უსასტიკესი პარტიული და საბჭოთა დისციპლინა წარმოადგენენ პარტიის ყველა წევრის და ყველა პარტიული ორგანიზაციის პირველ მოვალეობას**"

ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი ადამიანები რომლებიც თავის თანხმობას პარტიასთან მხოლოდ სიტყვიერად გამოხატავენ, ხოლო, არსებითად. უგულებელყოფენ. საბოტაჟს უწევენ მის გადაწყვეტილებებს. პარტიის და მისი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების უსასტიკესი კონტროლი საგრძნობ წილად უზრუნველყოფს პარტიის დირექტივებს ყოველგვარი დამახინჯებისაგან ოპორტუნისტების მიერ.

პარტიულ - საბჭოთა კონტროლის გაძლიერების დარგში (გამოტოვებულია) შედეგებით, რაც დასახულია ამხ. კაგანოვიჩის მოხსენების თეზისებში, აუცილებელი ცვლილებანი შეტანილია პარტიის წესდებაში.

ძველი წესდების განყოფილება და პუნქტები, რომლებიც შეეხებოდა საკონტროლო კომისიის ორგანოებს, შეცვლილია განყოფილებით პარტიული კონტროლის კომისიის ფუნქციების შესახებ. ეს კომისია, ისე როგორც საბჭოთა კონტროლის კომისია, მოწოდებულია შეასრულოს დიდი ამოცანები. ისინი თავის მუშაობაში იხელმძღვანელებენ იმით, რომ „პარტიული და საბჭოთა ცენტრების დადგენილებანი უნდა სრულდებოდეს სწრაფად და ზუსტად" (ახალი წესდებიდან).

სოციალისტური მშენებლობის ახალმა გართულებულმა ამოცანებმა პარტიისაგან მოითხოვეს უდიდეს ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება. უკანასკნელ ხანებში ამხ. **სტალინის** მითითებასთან დაკავშირებით, ამ მიმართულებით ჩატარებულია დიდი მუშაობა და მთელმა დაგროვილმა გამოცდილებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა პარტიის ახალ წესდებაში, მისი აპარატის თანამედროვე ამოცანებთან შეფარდებაში

თუ წინად. როცა სჭარბობდა დაქსაქსული ერთპიროვნული სოფლის მეურნეობა, პარტია შენდებოდა ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით, ახლა, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში სოციალისტური ფორმების ბატონობის პირობებში, პარტიის მშენებლობის მარტო ეს ნიშანი საკმარისი არ არის. ამჟამად პარტიას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია წარმატებით უხელმძღვანელოს მეურნეობას და ჩვენი ქვეყნის მთელ ცხოვრებას, თუ მისი აგებულება შეეფერება ახალ პირობებს. სწორედ ამიტომ წესდებაში ნათქვამია, რომ პარტია აშენდება ტერიტორიალურ - საწარმოო ნიშნის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით. წესდებაში საგრძნობლად შეცვლილია პუნქტები, რომლებიც ეხება აპარატის და პირველადი ორგანიზაციების წყობას. საოლქო და სამხარეო კომიტეტებში იქმნება მთლიანი საწარმოო დარგობრივი განყოფილებანი. რაიკომებში და საქალაქო კომიტეტებში განყოფილებების ნაცვლად შემოღებულია მოხსიარულე ინსტრუქტორების ინსტიტუტი, რომლებიც მიმაგრებული არიან უჯრედთა ცალკეულ ჯგუფებზე. და. გარდა ამისა, წესდებაში არის პუნქტი იმის შესახებ, რომ ცენტრალურ კომიტეტს უფლება ეძლევა შექმნას პოლიტგანყოფილებები და გამოყოს პარტორგები სოციალისტური მშენებლობის ჩამორჩენილ უბნებზე, ამასთან პოლიტგანყოფილებების მიერ თავისი დაკვრითი ამოცანების შესრულების მიხედვით, ისინი შეიძლება გადაიქცნენ საწარმოო-ტერიტორიალურ პრინციპზე აგებულ ჩვეულებრივ პარტიულ ორგანოებად.

და ბოლოს, პრინციპიალურად შეიცვალა ძველი წესდების განყოფილება პარტიული უჯრედების შესახებ. ამიერიდან რამდენადაც პარტიული უჯრედები როგორც თავისი შემადგენლობით, ისე თავისი ამოცანებით და ფაქტიური მუშაობით გასცილდნენ ძველი ტიპის უჯრედების ჩარჩოებს, პარტიის საფუძველს წარმოადგენენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც იქმნებიან მტკიცე საწარმოო პრინციპის მიხედვით.

პარტიის - ყველა უკანასკნელი ორგანიზაციული ღონისძიება აღბეჭდილია ახალ წესდებაში. ყველა ისინი, ისე როგორც წესდებაში შეტანილი დანარჩენი შესწორებანი და დამატებანი, ხელს შეუწყობენ პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომ დაახლოებას უშუალოდ წარმოებასთან, კიდევ უფრო გააძლიერებენ პარტიის ხელმძღვანელ როლს სოციალიზმის მშენებლობაში.

რჩება რა ძირითად ხელმძღვანელ ძალად პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში ჩვენი პარტიას მუშები და კოლმეურნეები მიჰყავს სოციალიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

(1934 წლის 12 იანვრის „პრავდას" მოწინავე).

საქ. კ. პ. (ბ) ც. ს. კომისიის ანგარიში

ამხ. გ. სტურუას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე

ამხანაგებო!

ის მიღწევები, რომლებითაც მუშათა კლასი, კოლმეურნეები და მშრომელი მასები, საქართველოს კომპარტიის მეთაურობით მოვიდნენ თავის მე-9 ყრილობაზე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩამოვაშოროთ და არ უნდა განვიხილოთ ცალკე იმ საერთო საკავშირო მიღწევებისა და გამარჯვებებისაგან, რომლებითაც ხვდებიან პარტიის მე-17 ყრილობას დიდი საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, კოლმეურნეები და მშრომელები საკ. კ.პ. (ბ) მეთაურობით.

დიდი საბჭოთა კავშირის გამარჯვებანი წარმოადგენენ საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნეების და მშრომელი მასების გამარჯვების წყაროს, რომლებმაც საქართველოს კ.პ. (ბ) ლენინური ცენტრალური კომიტეტის და საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით, მტკიცე ლენინელის ამხ. ბერიას მეთაურობით და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის აქტიური დახმარებით, უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც შეიცავს პირველი ხუთწლედის უკანასკნელ წელს და მეორე ხუთწლედის პირველ წელს.

აღნიშნული მიღწევები გამოიხატება იმაში, რომ საგრძნობლად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობა, კოლმეურნეობანი განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და ეკონომიურად, პოლიტიკურად, საქართველოს პარტორგანიზაციებში შეიქმნა საჭირო მონოლიტობა და ბოლშევიკური შემჭიდროება — ეს საჭირო პირობანი შემდგომი გამარჯვებებისათვის.

აღნიშნული მიღწევები შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის გამო, რომ გადაჭრით იქნა განხორციელებული საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული გადაწყვეტილებანი, საქართველოს კომპარტიის მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებანი და საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდგომი გადაწყვეტილებანი.

ამხანაგებო. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ უდიდეს გამარჯვებათა ორგანიზატორს წარმოადგენს ამხ. ბერია, რომელმაც რკინისებური ხასიათის და ძლიერი ნებისყოფის მეოხებით, რაც მხოლოდ მტკიცე ლენინელებს ახასიათებს, შესძლო საოცარი სისწრაფით გამოეყენებინა მთელი შემოქმედებითი ძალები, საქმიანი ნიშნით განაწილებინა ადგილებზე კადრები და კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა გაეწია უდიდესი, რთული მუშაობისათვის.

ჩვენმა პარტიამ ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ გაართვა თავი დასახულ ამოცანებს და თავის მე-9 ყრილობას შეხვდა უდიდესი გამარჯვებებით, რომელთა შესახებაც ამხ. ბერიამ თავის საანგარიშო მოხსენებაში მოგვცა სრული ამომწურავი ანალიზი. საჭირო არ არის მათი განმეორება, მაგრამ მაინც საჭიროა აღინიშნოს, თუ რა მონაწილეობა მიიღო ცენტრალურმა საკონტროლო კომისია — მუშგლეხინმა ამ უდიდეს მუშაობაში, რაში გამოიხატა ცენტრალურ საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის დახმარება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, როგორ ვიბრძოდით ჩვენ სოციალისტური გეგმების შესრულებისათვის, საბჭოთა აპარატისათვის, ჩვენი რიგების მთლიანობისათვის და პარტიის გენერალური ხაზის ყოველგვარი დამახინჯებების და ამ ხაზისაგან გადახრის წინააღმდეგ.

მრეწველობა და ტრანსპორტი

საკ. კ.პ. (ბ) მე-16 ყრილობამ, მე-17 პარტკონფერენციამ და საქართველოს კომპარტიის მე-8 ყრილობამ მოგვცა დირექტივა — მრეწველობის გეგმების რიცხვობრივ შესრულებასთან ერთად, ყოველნაირად ვებრძოლოთ ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის.

რა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ?

კაპიტალური მშენებლობის საკითხების შესწავლამ გამოაშკარავა მთელი რიგი დეფექტები. არ ჩაუტარებიათ მოსამზადებელი მუშაობა, რაც უზრუნველყოფდა მშენებლობის ნორმალურ მსვლელობას; სწორად არ იყო დაყენებული თვით სამუშაოების ორგანიზაცია; ბევრი მშენებლობა არ იყო უზრუნველყოფილი პროექტებით, ხარჯთაღრიცხვებით და სამუშაო ნახაზებით, აგრეთვე ფინანსური სახსრებით, მუშახელით და საშენი მასალით; არ იყო მიღებული ღონისძიებანი სამშენებლო სამუშაოების მექანიზაციის და რაციონალიზაციის დარგში; რაციონალურად არ იყო გამოყენებული არსებული მექანიზმები; არ სრულდებოდა დირექტივები ტიპიური და სტანდარტული მშენებლობის შესახებ, აგრეთვე მწვავე დეფიციტური საშენი მასალის ნაკლებად დეფიციტური მასალით შეცვლის შესახებ და სხვ. **ყველა ეს დეფექტი მეტნაკლებობით ახასიათებდა თითქმის ყველა მშენებლობას,** რაც იწვევდა სახსრების გადახარჯვას, ხარჯთაღრიცხვებთან შედარებით, და აძვირებდა მშენებლობას, რის შედეგადაც 1933 წელს ადგილი აქვს გეგმიან დავალებათა საგრძნობ შეუსრულებლობას მრეწველობაში, თუმცა 1933 წელს შესრულებული სამუშაოების მოცულობა საგრძნობლად სჭარბობს 1932 წელს შესრულებული სამუშაოების მოცულობას.

სამრეწველო საწარმოების ექსპლოატაცია

ამ დარგში ცალკეულ უბნებზე ადგილი ჰქონდა სერიოზულ დეფექტებს, რამაც გამოიწვია საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობა. მაგალითად, საერთო პროდუქციის გეგმის შესრულება 1926-27 წლის ფასებით 1933 წლის 11 თვის განმავლობაში 130 საწარმოოს მიხედვით 81.1 პროცენტს უდრის.

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმების ასეთი შეუსრულებლობის მიზეზს უმთავრესად წარმოადგენდა ის, რომ არ იყო განხორციელებული ამხ. სტალინის ექვსი მითითება. სამეურნეო ანგარიში მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. არ იყო გარდაქმნილი ხელფასის სისტემა. სანარდო სისტემა გავრცელებული იყო მუშათა მხოლოდ 70 პროცენტზე. სწორად არ იყო გატარებული შრომის დროითი და პრემიალური ანაზღაურება. არ წარმოებდა მუშახელის გეგმიანად შეგროვება და ადგილი ჰქონდა მუშახელის დიდ დენადობას.

არ იყო ცოცხალი ხელმძღვანელობა. როგორც მაღაროთა სამმართველოს, ისე ა.-კ. მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მხრივაც. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა გვქონდა საქნავთსა და მარგანეცის ტრესტში, თუმცა მესამე კვარტალში, ცენტრალური კომიტეტის უშუალო ჩარევის და ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის დახმარების შედეგად, ჩვენ საგრძნობ გარდატეხას მივაღწიეთ.

ბრძოლა პროდუქციის ხარისხისათვის

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1933 წლის 10 დეკემბრის დადგენილებამ იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, რომლებიც დამნაშავე იქნებიან ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში, უნდა მიიპყროს მთელი პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღება.

პროდუქციის ხარისხის გამოკვლევამ მთელ რიგ საწარმოებში (ფეხსაცმელის ფაბრიკა № 1, ტყავის ქარხანა № 1, სამკერვალო ფაბრიკები, აგურის ქარხნები, მოწამეთის კირის ქარხანა და სხვ.) ცხადყო, რომ არ არის საკმაო ის ღონისძიებანი რომლებსაც ატარებენ სამეურნეო ორგანიზაციები ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესების და წუნის პროცენტის შემცირების დარგში.

ადგილი აქვს აღნიშნული საკითხის მნიშვნელობის შეუფასებლობას და არ ხორციელდება პარტიის და მთავრობის დადგენილებანი პროდუქციის ხარისხის საკითხებზე. წუნისათვის პასუხისმგებლობის მხრივ ადგილი აქვს გაუპიროვნებას და არ მოიპოვება ფაქტები, რომ პასუხისგებაში მიეცეთ ის პირები, რომლებსაც პერსონალური დანაშაული მიუძღვით წუნის გამოშვებისათვის.

აღნიშნულია აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობის და სამომხმარებლო კოოპერაციის გულგრილი დამოკიდებულება სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხისადმი.

მშენებლობის ღირებულება

სამრეწველო მშენებლობის ღირებულება, დაწყებული 1930 წლიდან, საშუალოდ 50 პროც. გაიზარდა. საბინაო მშენებლობის დარგში ღირებულება საშუალოდ 65 პროც. აღემატება 1932 წლის დამტკიცებულ ლიმიტებს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის დარგში — 100 პროცენტით და მეტით (საღორეები, საძროხეები).

მშენებლობის ღირებულების გადიდება შედეგი იყო შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის, თვით სამუშაოთა დაბალი ხარისხის, მუშახელის უხეირო განაწილებისა და შრომის ხელფასის სისტემის გარდაუქმნელობის. მუშახელის შეგროვებაში არ არსებობდა გეგმიანობა. შრომის ხელფასის საკითხში ადგილი ჰქონდა გათანაბრებას, აგრეთვე სამუშაოებზე დაწესებულ შეფასებათა თვითნებურად გადიდებას.

მრეწველობის მომარაგება ნედლეულით, მუშახელით და ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯებით ჩვენ შევისწავლეთ ძირითადი მომმარაგებელ ორგანიზაციების (საქმრაგ-გასაღება, ა.-კ. მარაგგასაღება, ფოლადგასაღება, ლითონწარმგაერთიანება) მუშაობის სისტემა და აღვნიშნეთ უგეგმობა და პარალელიზმი მათ მუშაობისა, მოუწესრიგებლობა დაკვეთების შედგენის, დამუშავების და დაჩქარების საქმეში და სხვ., რაც იწვევს ფონდების გამოყოფის დაყოვნებას და უკანასკნელთა არასრულ რეალიზაციას გამოკვლეულ იქნა ტფილისის და მისი რაიონის საწარმოების 50 პროც. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მთელ რიგ საწარმოებში მიაღწია ოპერატიულად საჭირო რაოდენობაზე ზედმეტი მუშახელის შემცირებას. (მაგალითად, ბამბეულის სტრიკოტაჟო ფაბრიკაში შემცირებულ იქნა 37 კაცი, ფეხსაცმლის ფაბრიკაში № 1—76 კაცი, მაკარონის ფაბრიკაში—60 კაცი, გორის საკონსერვო ქარხანაში — 37 კაცი და სხვ.). ასეთმა შემცირებამ მოგვცა 50.000 მანეთი ყოველთვიური ეკონომია.

გეოლოგიურ-საკვლევო სამუშაოები. საქართველოს პირობებში გეოლოგიურ-საკვლევო სამუშაოთა გაშლას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ გეოლოგიურ-საკვლევო სამუშაოებს აწარმოებდნენ სხვადასხვა უწყებები (კურორტთა სამმართველო, გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტი, ამიერ-კავკასიის გეოლოგიურ-საკვლევო ტრესტი, საქართველოს გეოლოგიურ-საკვლევო ბაზა და სხვ.). შედეგად ადგილი ჰქონდა ძალების და სახსრების დაქსაქსვას და ამ ორგანიზაციების მუშაობის გეგმები არ იყო შეთანხმებული, მუშგლეხინის ჩარევით მიღწეულ იქნა გეგმიანობა მუშაობისა, სეზონურობის ლიკვიდაცია, მთელი მუშაობის კონცენტრაცია, მხოლოდ გეოლოგიურ საკვლევო ტრესტის და გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის ხელში.

მრეწველობის რაციონალიზაცია და მუშათა გამომგონებლობა

რაიონული ორგანოების სამუშაოების გამოკვლევამ ცხადყო 1932 წლის განმავლობაში რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გეგმის შესრულების არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები, როგორც განხორციელებულ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა რაოდენობის მხრივ, ისე ხარჯებისა და მათი ეფექტიურობის მხრივ.

გეგმის მიხედვით განსახორციელებელ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა საერთო რიცხვიდან შესრულებულ იქნა მხოლოდ 70 პროცენტი, შესრულება ხარჯების მიხედვით შეადგენს 60 პროც., ხოლო ეფექტიურობის მიხედვით—66 პროც.

1932 წლის და 1933 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში შემოვიდა 5.219 წინადადება. მათ შორის გამოსადეგად იქნა ცნობილი — 2.513, კონსტრუქციულად დამუშავდა 945 წინადადება, განხორციელებულ იქნა 1339. წლიური ეკონომია უდრის 4.000.000 მანეთს.

ერთთვიურის განმავლობაში შემოვიდა 1.200 წინადადება, გამოსადეგად იქნა ცნობილი—530. წლიური ეკონომია უდრის 5.300.000 მან.

დემუროვმა გამოიგონა ელექტროკვერთხის სიგნალიზაცია, 1928 წ. ამ გამოგონების შესახებ საუკეთესო აზრი გამოთქვეს გამოჩენილმა სპეციალისტებმა და სამეცნ. საკვლევო ინსტიტუტებმა, მაგრამ დღემდე წარმოებს საუწყებათაშორისო მიწერ-მოწერა ამიერ-კავკასიის რკინის გზასა და გზათა სახ. კომისარიატს შორის, გამოგონება ჯერ კიდევ არ არის რეალიზებული (ხმები: მართალია!).

იმედი მაქვს, ამხ. შვარცის დახმარებით მოხერხდება ამ საკითხის დაძვრა მკვდარ წერტილიდან.

მუშგლეხინის ჩარევამ საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა, მაგრამ აღებული ტემპები ჯერ კიდევ არ არის საკმაო.

ტრანსპორტი. როგორც ვიცით ტრანსპორტი აქამდის რჩება ვიწრო ადგილად ჩვენს მეურნეობაში. მთელი რიგი უბნების გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ მიუხედავად ტრანსპორტის უდიდესი მნიშვნელობისა ტრანსპორტის მეურნეობა, მისი რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ ჩამორჩება სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო ტემპებს.

რკინის გზის ტრანსპორტის გარდაქმნის შესახებ ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ა.-წ. 3—8 ივლისს მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შემოწმების დროს გამოირკვა, რომ აღნიშნული დადგენილების რეალიზაცია შეუწყნარებლად ნელი ტემპებით მიმდინარეობდა გზის სამმართველოს ფორმალურ-ბიუროკრატიული ხელმძღვანელობის პირობებში.

რკინის გზის ტრანსპორტზე პოლიტგანყოფილებების მოწყობასთან დაკავშირებით ცენტრალური საკონტროლო კომისია — მუშგლეხინი ახორციელებს ყველა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას, როგორც ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების ხაზით, ისე რკინის გზის პოლიტგანყოფილებებთან ერთად პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების დარგში.

კერძოდ, პოლიტგანყოფილებებთან ერთად ჩატარდა შემდეგი მუშაობა: სპეციალისტების გადაყვანა ხაზზე, სავაგონო უბნების გამოყოფა, გადაზიდვის გეგმის შესრულება და სხვ.

ჩვენი ამოცანები გეგმისათვის ბრძოლაში

1. ბრძოლა ტექნიკის ათვისებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, ბრძოლა კარგი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის და ყველა შინაგანი რესურსის მაქსიმალური მობილიზაცია 1934 წლის გეგმების შესასრულებლად — უნდა იდგეს ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, და განსაკუთრებით საკონტროლო ორგანოების ყურადღების ცენტრში 1934 წელს.

2. განსაკუთრებით ტრანსპორტის საკითხები უნდა გახდეს საბჭოთა ხელისუფლების უკლებლივ ყველა ორგანოს, კერძოდ საკონტროლო ორგანოების ყოველდღიური ზრუნვის საგნად, რომ რკინის გზის პოლიტგანყოფილებებთან ერთად უმოკლეს ვადაში განვახორციელოთ პარტიის დირექტივები ამ დარგში.

საკოლმეურნეო მშენებლობა

გაფრთხილებთ ამხანაგებო, რომ საკონტროლო ორგანოები თავის მთავარ ამოცანად თვლიან აღნიშნონ დეფექტები, რომლებიც ახასიათებს ჩვენი მუშაობის პრაქტიკას, რათა ეს შემდგომ მხედველობაში მივიღოთ და გამოვასწოროთ. მაგრამ დეე ნურავინ იფიქრებს, თითქოს მუშაობაში ჩვენ მარტო დეფექტები გვქონდეს. კარგის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე შესავალ ნაწილში, ნათქვამის განმეორებას არ ვაპირებ, მაგრამ გთხოვთ მხოლოდ შემდგომ ის მხედველობაში იქონიოთ.

ც. კ-ს და ა.-კ. სამხარეო კომიტეტის ძველმა ხელმძღვანელობამ განსაკუთრებით ცუდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობის ხაზით, კერძოდ კოლექტივიზაციის საკითხში. ძველმა ხელმძღვანელობამ, რომელიც საქმის მხოლოდ ტექნიკურმა მხარემ გაიტაცა, ვერ შესძლო განეხორციელებინა მართებული პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რის გამოც კულაკურ და ანტი-საბჭოთა ელემენტებს საშუალება მიეცათ გამოეყენებინათ დაშვებული შეცდომები და გადახვევები სოფლად თავისი გავლენის გაცხოველებისათვის" (საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს 1931 წლის 31 ოქტომბრის რეზოლუციიდან).

ჩვენს წინაშე იდგა ამოცანა გამოგვესწორებინა შეცდომები და გაგვეჩაღებინა მუშაობა კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

1932 წლის მარტ-აპრილის თვეში საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი ადგილობრივი გაზეთების რედაქციებთან ერთად, ჩაება საკავშირო რეიდში, იმის შესამოწმებლად, თუ როგორ სრულდება საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ს დირექტივა „კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების შემდგომი ღონისძიებათა შესახებ" რეიდის ჩატარებაში ჩაბმულ იქნა მუშკორები, სოფლკორები შტატგარეშე ინსპექტორები, ყველა რაისაკონტროლო კომისია-მუშგლეხინი მათი აქტივით. აღნიშნულ რეიდში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მონაწილეობა მიიღო 2.000 კაცამდე.

აღმოჩენილი დეფექტების გამოსწორება ხდებოდა მუშაობის პროცესშივე.

1933 წელს საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოებმა ჩაატარეს განსაკუთრებული სამეურნეო პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე უდიდესი მუშაობა, რომელმაც ხელი შეუწყო კოლმეურნეობათა შემდგომ ზრდას და განმტკიცებას, სახელდობრ: კოლმეურნეობათა მოანგარიშეების, მნეების და მეკუჭნავეების საზოგადოებრივი შემოწმება და წმენდა. საქართველოს 3460 კოლმეურნეობიდან შემოწმება ჩატარდა 3.087 კოლმეურნეობაში, ამასთან წმენდა გაიარა 5.154 კაცმა, მათგან ანგარიშწარმოების დაბნევისა, კულაკური აგიტაციის მიზნით, სამსახურებრივი გამოყენებისა, სხვადასხვა მახინაციისა, აგრეთვე თავისი დანიშნულების შეუფერებლობისათვის სამუშაოდან მოვხსენით 941 კაცი, სასამართლოს პასუხისგებაში მივეცით 118, კოლმეურნეობიდან გამოვრიცხეთ 135 და, გარდა ამისა, გამოაშკარავებულ და კოლმეურნეობებიდან გამორიცხულ იქნა 92 კაცი—ანტი-საბჭოთა და უცხო ელემენტები, რომლებიც კოლმეურნეობებში შეპარულიყვნენ დამანგრეველი მუშაობის საწარმოებლად.

შემოწმებამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცხადყო, რომ მრავალ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა შრომადღეების და საკოლმეურნეო სახსრების უკონტროლოდ ხარჯვას აპარატის შესანახად.

ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა გაატარა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი აღნიშნულ არანორმალობათა აღმოსაფხვრელად.

ამჟამად საკოლმეურნეო მშენებლობას საქართველოში ახასიათებს სავსებით მტკიცე მდგომარეობა. ძველი ხელმძღვანელობის მიერ ჩადენილი შეცდომები აღმოფხვრილია და ჩვენში ხორციელდება ამხ. სტალინის ლოზუნგი—ყველა კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად, ხოლო კოლმეურნეების — შეძლებულ კოლმეურნეებად გადაქცევის შესახებ.

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. საქართველოს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების საწარმოო გეგმების შედგენის შემოწმებამ, რაც მუშგლეხინმა 1933 წლის მაისში ჩაატარა, გამოაშკარავა შეუწყნარებელი დაგვიანება გეგმების შედგენისა. ამ მუშაობის დამთავრების ვადად დაწესებული იყო 15 აპრილი. მაგრამ მხოლოდ 9 მაისისათვის იყო გეგმები შედგენილი, ისიც სულ 19 სამანქანო სატრაქტორო სადგურში (27-დან).

ამასთან ცენტრის მიერ მოცემული ტიპიური საწარმოო გეგმა სატრაქტორცენტრს არ დაუმუშავებია ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით: ეს გეგმა გაამრავლეს და მექანიკურად გადაგზავნეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში უმსგავსო სახით, გაურკვეველი ტექსტით, ცხრილებით და გრაფებით ზედმეტად დატვირთული (სამრეწველო-საფინანსო გეგმა შეიცავდა 92 გვერდს, 10.000 მეტ შესავსებ კითხვას).

ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა შეიმუშავა და ადგილებს მისცა პრაქტიკული მითითებანი სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების რემონტის საქმის გაუმჯობესების, სათესი მანქანების და სხვა ისეთი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რაოდენობის შემოტანის დარგში, რომლის ნაკლებობაც არის.

ჩაი. ამ საკითხში პარტიის ხაზი ასეთია: „მეორე ხუთწლედში ამიერ-კავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება". უდიდესი მიღწევები გვაქვს ჩაის გაშენებისათვის მუშაობაში უკანასკნელი ორი წლის მანძილზე როგორც საბჭოთა მეურნეობების, ისე კოლმეურნეობების მიერ საწარმოო დავალებების შესრულების, აგრეთვე პლანტაციების გაშენების და ჩაის ბუჩქის მოვლის დარგში 1932 წლამდე ჩადენილი შეცდომების გამოსწორების მხრივ (ჩაის პლანტაციების ფართობი 1928 წლის 1.900 ჰექტარიდან გაიზარდა 33.851 ჰექტარამდე 1933 წელს); მიუხედავად ამისა, მაინც ადგილი ჰქონდა ცალკე დეფექტებს რომელთა გამოსწორებისაკენ იყო მიპყრობილი ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ყურადღება. ჩაის მეურნეობის განვითარების მსვლელობის სხვადასხვა დროს ჩატარებულმა გამოკვლევებმა და შემოწმებამ ცხადყვეს, რომ აუცილებელია 1933 წლის გაზაფხულზე არადამაკმაყოფილებლად დარემონტებული პლანტაციების განმეორებითი რემონტი. მარტვილის რაიონის ცალკე კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა ზერელე დარგვას. ერთგვარ დაგვიანებას შესხვლის ჩატარებაში, სასუქის შეტანასთან დაკავშირებულ აგროღონისძიებათა არასაკმაოდ შესრულებას ნასაკირალის და [illegible] საბჭოთა მეურნეობებში.

ყველა ეს ფაქტი შემდგომ გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ამის შესახებ უკვე გამოყოფილია საქართველოს ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის სათანადო გადაწყვეტილებები და დადგენილებები.

თამბაქო. მეთამბაქოეობის საკითხები მუდამ იდგა საქართველოს მუშგლეხინის მუშაობის ყურადღების ცენტრში. სისტემატიურად ხდებოდა თამბაქოს დამუშავების ცალკე პროცესების შემოწმება, წარმოებდა დეფექტების აღმოფხვრა ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ჩვენი თამბაქო მაღალხარისხოვანია და მისი ხვედრითი წონა ჩვენს სახალხო მეურნეობაში თვალსაჩინოა.

მუშგლეხინმა მიიღო ზომები იმისათვის, რომ მოეხდინა მუშახელის მთელი არსებული რაოდენობის მობილიზაცია თამბაქოს სამუშაოების პირველ რიგში შესასრულებლად და ბრძოლის გასაძლიერებლად სოციალისტურ მოსავლის დაცვისათვის.

მეცხოველეობა. მეცხოველეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ყველაზე უფრო ჩამორჩენილ დარგს. ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი სისტემატიურად მუშაობდა მეცხოველეობის ცალკეულ საკითხებზე.

შევამოწმეთ მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობა გამოვიკვლიეთ სამტრესტის, ერბოკარაქის ტრესტის, მეღორეობის ტრესტის და ცეკავშირის სასოფლო-სამეურნეო სამმართველოს, აგრეთვე მეცხოველეობის კოლმეურნეობების სასაქონლო ფერმების მდგომარეობა და გამოირკვა, რომ აქ ადგილი აქვს მთელ რიგ მნიშვნელოვან დეფექტებს და უმსგავსოებას. ეს წარმოადგენს იმის შედეგს, რომ არ არის ათვისებული მეცხოველეობის ტექნიკა.

ერბო-კარაქის ტრესტის საბჭოთა მეურნეობები როგორც 1932 წელს, ისე 1933 წელსაც არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საწარმოო დავალებებს.

მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების გამოკვლევასთან ერთად ცენტრ. საკონტროლო კომისიამ-მუშგლეხინმა არაერთხელ შეამოწმა სამრეწველო საწარმოების, მუშათა მომარაგების განყოფილებების და მუშათა დახურული კოოპერატივების საგარეუბნო მეურნეობათა მდგომარეობა. კოოპერატიულ მეურნეობების უმრავლესობა მოწყობილია ისე, რომ არ არის გათვალისწინებული საკუთარი საკვები ბაზის შექმნის შესაძლებლობანი, არ არის ჩატარებული იმ ნაკვეთების მელიორაციისათვის საჭირო კაპიტალური სამუშაოები, რომლებიც გადაცემული აქვთ საგარეუბნო მეურნეობებს.

მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებს დღემდეც არ მოეპოვებათ საკუთარი საკვები ბაზა. ისინი ვერ არიან უზრუნველყოფილი წყლით, ცალკეული ფერმები არ არიან გადაყვანილი სამეურნეო ანგარიშზე და ხარისხობრივი მაჩვენებლები — შეუწყნარებელ დაბალ დონეზეა.

მეცხვარეობა. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 31 ოქტომბრის თავის ცნობილ დადგენილებაში ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა მეცხვარეობის განვითარების საკითხებზე. „იმის გამო რომ მხარეში მეცხვარეობას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. წინადადება მიეცეს ა.-კ. სამხარეო კომიტეტს დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მეცხვარეობის რეკონსტრუქციას და შემდგომ გაფართოებას"

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაამუშავეს სათანადო ღონისძიებანი. მაგრამ ამ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს კარგი სურათი. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ამ დარგში მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი.

მეაბრეშუმეობა. მიუხედავად მავნებლობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ დარგში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კონკრეტული ხელმძღვანელობის და მეაბრეშუმე მასების ენთუზიაზმის მეოხებით, ჩვენ, 1932 წელთან შედარებით, საგრძნობი წარმატებები გვაქვს. წლის წარმატებით დამთავრდა აბრეშუმის პარკის კონტრაქტაცია (100,7 პროც.); პარკის დამზადების 1933 წ. გეგმა შესრულდა 72.7 პროცენტით (20.210 ცენტნერი). 1932 წელს კი დამზადებული იყო მხოლოდ 40,2 პროც. (12.129 ცენტნერი); იმატა თესლის მიღებამ. მაგალითად, ერთი კოლოფი თესლისგან 1931-32 წელს მივიღეთ 13,6 კილოგრამი, ხოლო 1933 წელს კი —22,8 კილოგრამი.

მაგრამ ამასთან ერთად აღმოჩენილი იქნა დეფექტებიც.

სისტემატიური კონტროლის გაწევის გზით მუშგლეხინი თავის დროზე უწევდა მეაბრეშუმეობის ორგანიზაციებს ყოველგვარ დახმარებას ისეთი ამოცანების განხორციელების საქმეში, როგორიცაა: აბრეშუმის თესლის შენახვის და გამოზამთრების ორგანიზაცია, სახელმწიფო კონტროლის დაყენება, აბრეშუმის თესლის წარმოების რაციონალიზაცია და სხვ.

ვაჭრობა, კოოპერაცია და მუშათა მომარაგება

საქართველოს კ.პ. (ბ) მე-8 ყრილობის და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მითითებათა განსახორციელებლად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენ საგრძნობ შედეგებს მივაღწიეთ.

სავაჭრო ქსელის გაფართოების მხრით—მთელ საქართველოში სავაჭრო წერტების ოდენობამ საგრძნობლად იმატა. მაგალითად, 1932 წლის 1 იანვრისათვის გვქონდა 4708 სავაჭრო წერტი, 1 ოქტომბრისათვის კი 5.633 წერტი.

მაგრამ სავაჭრო კოოპერატიული ორგანიზაციების მხრივ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ქსელის გაშლის ერთგვარ შეუფასებლობას. მაგალითად 1931 წლის პირველ ოქტომბრისათვის ტფილისში იყო 801 სავაჭრო ერთეული (სასადილოების, ბუფეტების, კათიბების და საკონდიტროების გამოკლებით), 1932 წლის [illegible] ოქტომბრისათვის აღნიშნული წერტების რიცხვი 632-ს უდრიდა. საქართველოს მუშგლეხინმა, მხედველობაში მიიღო რა მასის მიმართვიდან, აგრეთვე პარტიის და მთავრობის შემდგომი დირექტივებიდან. 1933 წლის განმავლობაში მიაღწია ტფილისის სავაჭრო წერტების რიცხვის აყვანას ყველა მოვაჭრე ორგანიზაციის ხაზით 780 ერთეულამდე (აქედან საკოლმეურნეო ერთეული —51).

საქ. კ.პ (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის და საქართველოს მუშგლეხინის კოლეგიის 1933 წლის 4 ივლისის გაერთიანებული სხდომის დადგენილებაში, რომელიც გამოტანილია იმის გამოკვლევის შედეგად, თუ როგორ მიმდინარეობდა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის სექტემბრის პლენუმის მიერ მუშათა მომარაგების შესახებ მიღებული დადგენილების რეალიზაცია,—აღნიშნულია მთელი რიგი სერიოზული დეფექტები სოფლად ქსელის გაშლის საქმეში: 1932 წლის განმავლობაში ახალი წერტების გახსნის გეგმის შესრულებას დააკლდა 37 პროცენტი, ადგილი ჰქონდა სავაჭრო ქსელის წერტიანობის მხრით დიდ განსხვავებას ცალკეულ რაიონებში.

ძირითად ნაკლს სამომხმარებლო კოოპერაციის და სხვა. საქონლის გამტარი ქსელის მუშაობაში წარმოადგენს ბიუროკრატიზმი, რაც იწვევს საქონლის ბრუნვის [illegible]. რის გამო ხშირად ხელოვნურადაც იქმნება საქონლის კრიზისი იმ დროს, როცა საწყობებში მოიპოვება საქონლის საგრძნობი მარაგი.

ამიტომ ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამ საკითხს და შეუსუსტებელ მუშაობას აწარმოებდა იმისათვის, რომ აღმოეფხვრა ეს მტკივნეული ადგილები საქართველოს მოვაჭრე ორგანიზაციებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ ბრძოლის შედეგად საქართველოს საქონლის გამტარ ორგანიზაციებს საქონლის ბრუნვის მხრივ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უდაო მიღწევები აქვთ.

საკოლმეურნეო ვაჭრობა. პირველმა ფართო გამოკვლევამ, რომელიც დაიწყო საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 20 მაისის დადგენილების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ მუშების, მოსამსახურეების და კოლმეურნეების მონაწილეობით, ცხადყო, რომ არა მარტო რაიონულმა ორგანიზაციებმა, არამედ ზოგიერთმა ცენტრალურმა ორგანიზაციამაც კი საკმაოდ ვერ შეაფასა მთავრობის დადგენილება და საკოლმეურნეო ვაჭრობის საკითხებს, არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მაგალითად, ივნისის დამლევისათვის კოლმეურნცენტრს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ადგილებზე გაგზავნილი დირექტივები მთავრობის დადგენილების რეალიზაციის წესის შესახებ: კოლმეურნცენტრს არ ჰქონდა მუშაობის კონკრეტული გეგმა, თითქმის არაფერი კეთდებოდა საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის ტექნიკური ბაზის რეკონსტრუქციის დარგში. არაფერი კეთდებოდა აგრეთვე კადრების მომზადებისათვის. როგორც ტფილისის აღმასკომი, ისე რაიონული აღმასკომები ძალიან ცოტას ზრუნავდნენ შენობებით და დარაბებით საკოლმეურნეო ვაჭრობის უზრუნველყოფისათვის. კოლმეურნცენტრმა ვერ აითვისა სახელმწიფო ბანკის მიერ საკოლმეურნეო ბაზრების მოსაწყობად გაღებული სახსრები—400 ათასი მანეთი. პურით საკოლმეურნეო ვაჭრობა დაიწყო 1933 წლის 20 დეკემბრიდან პურის შესყიდვას სამომხმარებლო კოოპერაცია აწარმოებს საქართველოს 12 რაიონში მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობის საფუძველზე. პურის შესყიდვის სტიმულს წარმოადგენს სამრეწველო საქონლის 30 პროცენტის მიწოდება. დამზადების წარმატებას განსაზღვრავს სამრეწველო საქონლის დროულად მიწოდება და მათი შესაფერი ასორტიმენტი.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის დეფექტად უნდა ჩაითვალოს საკმაო ცნობების უქონლობა პურის გაყიდვის პირობების შესახებ, ახსნა-განმარტებითი მუშაობის სუსტად ჩატარება. საქონლის რამდენადმე დაგვიანებით დაყვანა ძირეულ რგოლამდე, ტარით და სხვა საჭირო ინვენტარით არა საკმაოდ უზრუნველყოფა. არა-საკმაოდ ცხოველი ინსტრუქტაჟი ცეკავშირის მხრივ და პერიოდულ პრესაში საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საკითხების თითქმის სრული გაუშუქებლობა.

ბრძოლა მუშათა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესებისათვის

1933 წლის პირველ კვარტალში ჩატარდა ფერო-მარგანშენის მუშათა დახურულ კოოპერატივის, ტრამვაის და ორჯონიკიძის სახ. ქარხნის მუშათა დახურული კოოპერატივების, რაიონულ სატრანსპორტო სამომხმარებლო კოოპერატივის და სხვ. გამოკვლევა, რომელმაც გამოარკვია, რომ 1932 წლის მეოთხე კვარტალის მომარაგების გეგმები ყველაზე უფრო დეფიციტური საქონლის მხრივ შესრულებულ იქნა 60 პროცენტით. დიდ გარღვევას ჰქონდა ადგილი მცენარეულობის ზეთით, ბურღულით, და ფეხსაცმელებით მომარაგებაში. შედარებით უკეთესად იყო დაყენებული მზა ტანისამოსის, ტრიკოტაჟის, თავსაფრების და სხვ. მიწოდების საქმე.

„მუშების მომარაგების საქმეში საქარხნო სამმართველოების უფლებათა გაფართოების და საბარათო სისტემის გაუმჯობესების შესახებ" პარტიის და მთავრობის 1934 წლის 4 და 19 დეკემბრის დადგენილების განსახორციელებლად წარმოებულ მუშაობას ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა.

ძაფის ფაბრიკის, სატყეო მრეწველობის და ტრანსპორტელების მუშათა მომარაგების განყოფილებების ორგანიზაცია, მათთვის ქონების და საბრუნავი სახსრების გამოყოფა და სხვ. ჩატარდა საქართველოს მუშგლეხინის უშუალო მონაწილეობით.

საზოგადოებრივი კვება. ამ საკითხებზე ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალების მიხედვით შეიძლება აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების ორგანოებს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა პარტიის 1931 წლის 19 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე. ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ არ მობრუნებულან პირით წარმოებისაკენ. [illegible], ცხადია მუშაობა ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც [illegible] სოციალისტური მშენებლობის ინტერესები.

ფართო მოხმარების საგნების წარმოება. გამოკვლეულ იქნა საქართველოს საშინამრეწველო კოოპერაცია, ტყავტრესტი, სამკერვალო ტრესტი და [illegible] ამ ორგანიზაციების მუშაობაში ფართო მოხმარების საგნების წარმოების ხაზით ადგილი ჰქონდა მთელ რიგ მნიშვნელოვან დეფექტებს.

დეფექტების შესახებ სიგნალების მიცემით და წამოყენებულ ღონისძიებათა შესრულების კონტროლის ჩატარებით, ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშგლეხინმა დასახელებულ ორგანიზაციათა მუშაობაში საგრძნობ შედეგებს მიაღწია.

ამ მიღწევების მიუხედავად, ფართო მოხმარების საგნების წარმოების დარგში ყველაზე სერიოზულ დეფექტად რჩება გამოშვებული პროდუქციის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, რის წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტ [illegible] წარმოება.

ფასების შემოწმებისა და დეფე- [illegible] საანგარიშო პერიოდში გამოკვლეულ იქნა 3.921 წერტი, მათ შორის ქალაქში—2.300, რაიონებში — 1.621

გამოკვლეულ 3.921 წერტიდან ფასების დარღვევას ადგილი ჰქონდა 2.781 წერტში.

პარტიის და მთავრობის დირექტივის მიხედვით შტატების და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებისათვის მუშაობა დაიწყო 1932 წლის ოქტომბერში. ზოგიერთი ორგანიზაცია უხალისოდ შეხვდა ამ [illegible] ღონისძიებას, [illegible] უზრუნველყოფა სახსრების და [illegible] ეკონომიის. იყო [illegible] შემთხვევებიც, კი, მაგ., საქართველოს მავნებლებთან მებრძოლმა საზოგადოებამ არსებული 64 საშტატო ერთეულის ნაცვლად წარმოადგინა მხოლოდ 32.

შტატების და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების ძირითად წყაროებს წარმოადგენდა: ზოგიერთი დაწესებულების ლიკვიდაცია და გაერთიანება, მაგ., ლითონტრესტის, საქკონსერვტრესტის და სხვების, ბევრ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში (მაგალითად, „საქართველოს ჩაი", ღვინტრესტი, სარეწაო კავშირის სისტემა, მომარაგების სახკომისარიატის სისტემა და სხვ.) კარლიკური სექტორებისა და განყოფილებების გაუქმება და გაერთიანება.

ძალიან გაბერილი შტატების შემცირება (მაგ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში—53 პროც., კომუნალური მეურნეობის სახ. კომისარიატში—39 პროც., ცენტროარქივში—30 პროც., დედათა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტში—45 პრო.

გაგრძელება იხილე მე-4 გვ.

ამხ. გ. სტურუას მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე

საქზატიანსში — 26 პროც., ლომმანტრესტში—29 პროც., მატყლდამზადებაში—32 პროც., და სხვ.) ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი პერსონალური განაკვეთების შემცირება (მაგ. სარეწაო კავშირის, ცეკავშირის სისტემაში და სხვ.).

შედეგად მივიღეთ ასეთი სურათი (ტფილისში, აფხაზეთში, აჭარისტანსა და 33 რაიონში).

შემცირება ფაქტიურთან შედარებით

	აბსოლ. შტატი	პროც.	სულ ადმ.-სამეურნეო ხარჯები შრომის ხელფასის ჩათვლით	
სულ ცენტრში . .	2.553,5	25,5	10.235.155	19,1 პროც.
სულ აფხაზეთში, აჭარისტანსა და 33 რაიონში	3.369	13.7	12.087.842	12,0 „
სულ	**5.922,5**	**16,5**	**22.322.997**	**14,5** „

ამასთან, ამ 22.322.997 მანეთში არ შედის ეკონომია, რომელიც მიღებულია საქართველოს მრეწველობაში შტატების და ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების გზით, ე. ი. 8.210.000 მანეთი.

სამეურნეო ანგარიში. ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია დავიტრაბახოთ სამეურნეო ანგარიშის დანერგვის შესახებ პარტიის ბელადის მიერ მოცემული დირექტივის შესრულება.

მთელი რიგი ორგანიზაციების (ტფილისის ტრამვაი, ხის ნაწარმის ქარხანა, ლუდის ქარხანა, ორჯონიკიძის სახ. ქარხანა და სხვ.) გამოკვლევამ ცხადყო:

სამრეწველო - საფინანსო გეგმების სუსტად დამუშავება, საბრუნავი სახსრების უმართებულოდ განსაზღვრა, საამქროების და ნაწილების, რომელნიც ურთიერთ დაკავშირებული არიან სამეურნეო მუშაობაში, არაუზრუნველყოფა სამეურნეო ანგარიშის ხელშეკრულებებით, შრომის სუსტი ორგანიზაცია, ნორმების და შეფასებათა, ნაწარმის სახეობათა საკითხების არასაკმაოდ დამუშავება და სხვ.

სისტემატიურად ხდებოდა აღნიშნული დეფექტების გამოსწორება მუშგლეხინის ღონისძიებებით, მაგრამ მომავალში აუცილებელია მთელი ძალღონე მოვიკრიფოთ იმისათვის, რომ ორგანიზაციებმა მიაღწიონ სამეურნეო ანგარიშის ნამდვილად გატარებას.

ბრძოლა ბიუროკრატიზმთან. სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების და გაიაფების საკითხთან დაკავშირებულია ბიუროკრატიზმთან ბრძოლა.

ცალკე ხელმძღვანელების უმართებულო მოქმედების, საქმის გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის და სხ. შესახებ მუშგლეხინში შემოვიდა 5.900-ზე მეტი საჩივარი, აქედან დადასტურდა 2.400.

აი ბიუროკრატიზმის მამხილებელი მთელი რიგი მკაფიო მაგალითები

ინსტიტუტის ცენტრალურ კლინიკაში 9 აგვისტოს მიიყვანეს კულაკების მიერ დაჭრილი სპეციალისტი არქიტექტორი ჩხიკვაძე. მორიგე ექიმმა მინდაძემ ის არ მიიღო, ავადმყოფი იწვა კორიდორში, დილის 4 საათზე დამლაგებელმა ქალმა ის იქედანაც „წააბრძანა". ჩხიკვაძე, რომელსაც ტემპერატურა ჰქონდა 39,5, დილის 6 საათამდი ეზოში იმყოფებოდა. მეორე დღეს ავადმყოფმა მოიტანა ქაღალდი ჯანსახკომიდან, რომ ის საავადმყოფოში მოეთავსებიათ, მაგრამ მაშინაც უარი უთხრეს. მხოლოდ წითელი ჯვრის საავადმყოფომ შეიხიზნა იგი. აი რამდენად მოდუნებულია ჩვენი აპარატის ცალკე რგოლებში კლასობრივი ალღო, აი რამდენად აქვს იქ ადგილი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას საქმისადმი.

საქსაზკვების ტექნიკუმის გამგის ამხ. ვადაჭკორიას უკანონოდ მოხსნის საქმე ადმინისტრაციის ჯიუტობის გამო კასაციის წესით უზენაეს სასამართლოში გადავიდა. უზენაესი სასამართლო ძალაში სტოვებს სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებას. სახალხო სასამართლო ნაცვლად იმისა, რომ დროიანად აღედგინა სამუშაოზე ტექნიკუმის გამგე იძულებითი გაცდენის ანაზღაურებით და პასუხისგებაში მიეცა ის პირნი, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებდენ, დაჯერდა იმით, რომ თვიდან თვემდე აკმაყოფილებს მას ხელფასით იძულებითი გაცდენისათვის პირდაპირ ბანკიდან, და მუშგლეხინის ჩაურევლად ეს მდგომარეობა რამოდენიმე თვეს გასტანდა.

სოფლად საგადასახადო პოლიტიკის გატარების შესახებ. როგორც გამოკვლევამ ცხადყო, რაიონებთან ფინსახკომის ცენტრალური აპარატის არასაკმაოდ დაკავშირების, სოფლის მეურნეობის დაბეგვრის საკითხებისა და ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელობის მიერ ჯეროვანი ყურადღების მიუქცევლობის, მასობრივი მუშაობის მოუგვარებლობის, სოფლის საბჭოების უმოქმედობის და თავის მოვალეობათა შესასრულებლად საგადასახადო დარგის მუშაკების და აღმრიცხველი კომისიების მოუმზადებლობის ნიადაგზე, ცალკე რაიონებში ადგილი ჰქონდა გადახვევებს და უხეშ დამახინჯებებსაც კი, საგადასახადო პოლიტიკაში სოფლად, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ დაუბეგრავი რჩებოდა მთელი რიგი მეურნეობანი (სოფ. ანაგაში, სიღნაღის რაიონში, 1932 წელს არ დაუბეგრავთ 100-მდე მეურნეობა), მთლიანად არ აღურიცხავთ როგორც სოფლის მეურნეობის, ისე არასამიწათმოქმედო სამუშაოთა შემოსავალი, ხელოვნურად განსაზღვრავდენ არასამიწათმოქმედო და კონიუნქტურული შემოსავლის ოდენობას (ჩოხატაურის რაიონი) და სხვ.

ც. ს. კომისიის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა თავის ადგილობრივ ორგანოებს მუშაობის გეგმაში ცალკე საკითხად აუცილებლად შეიტანონ სასოფლო - სამეურნეო გადასახადის და თვითდაბეგვრის გატარების პრაქტიკის შემოწმება ყველა დაშვებული შეცდომის და გამრუდების გამოაშკარავების მიზნით.

ბრძოლა ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად

ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად ბრძოლის დროიანად გაშლის საფუძველზე სახალხო განათლების ორგანოებმა შესძლეს მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვა სკოლების მშენებლობის და რემონტის გარშემო. ამის საუკეთესო ილუსტრაციად გამოდგება ის, რომ სკოლების მშენებლობის, რემონტის და მოწყობილობის ფონდში საქართველოს მუშებისა და კოლმეურნეთა მასებისაგან შემოვიდა 4 მილიონ მანეთზე მეტი, და სასწავლო წლის დამდეგს სასკოლო შენობათა რემონტი ძირითადად მოთავებული იყო.

ცენტრალური საკონტროლო კომისია-მუშგლეხინი მთავარ ყურადღებას აქცევდა სტაბილური სახელმძღვანელოების გამოცემას. გამოკვლეულ იქნა საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა ამ დარგში. გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ც. ს. კომისია - მუშგლეხინმა აღნიშნა სახელგამის მუშაობის აშკარად არადამაკმაყოფილებელი ტემპები, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ 76 სახელწოდებიდან, რომელიც 1933 წლის პირველ აგვისტომდე უნდა გამოცემულიყო, ამ ვადისათვის გამოვიდა მხოლოდ შვიდი სახელწოდება და სხვ.

მუშგლეხინის კოლეგიამ გააფრთხილა საქართველოს განსახკომი, რომ სახელმძღვანელოების დროიანად გამოცემას ჩაშლა მოელის. გატარებული იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი სახელგამის მუშაობის გარდასაქმნელად.

ბრძოლა კურორტების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის

მთელი რიგი სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების (ბორჯომი, წაღვერი, აბასთუმანი) გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ, განსაზღვრულ მიღწევებთან ერთად, სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ დეფექტებსაც. სახელდობრ: სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების გადატვირთვას, კურორტების და დასასვენებელი სახლების აშკარად არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობას, შეფერხებას რძის პროდუქტებით სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების მომარაგებაში და სხვ. საქართველოს ც. საკ. კომისია - მუშგლეხინმა საქართველოს კურორტთა მთავარ სამმართველოს და სოცდაზღვევას ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ აუცილებელია მშენებლობის ტემპების გაძლიერება კურორტებზე (გამოკვლევის მომენტისათვის — გასული წლის ოქტომბერში ათვისებული იყო 1933 წლის კრედიტების მხოლოდ 50—60 პროცენტი), იმ ვარაუდით, რომ 1933 წლის დამლევისათვის სამრეწველო - საფინანსო გეგმა მთლიანად ყოფილიყო შესრულებული. ამავე დროს ზემოხსენებულ ორგანიზაციებს წინადადება მიეცა დაეჩქარებიათ კურორტების დამხმარე მეურნეობის განვითარების ტემპები და გადაეყვანათ სრულ სამეურნეო ანგარიშზე ყველა სანატორიუმი და დამხმარე მეურნეობა.

დროა, ამხანაგებო, ბოლო მოეღოს ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელობის შეუფასებლობას და მივაღწიოთ არსებით გარდატეხას ამ საქმეში, რომ ავწიოთ იგი იმ მოთხოვნების დონემდე, რომლებიც მშრომელთა ინტერესებს შეეფერება, და განვახორციელოთ ლოზუნგი საქართველოს ჯანმრთელობის საკავშირო კურორტად გადაქცევის შესახებ.

კავშირი პრესასთან და ბრძოლა მუშათა და კოლმეურნეთა წერილების ეფექტიანობისათვის

პრესასთან კავშირი და მუშათა და კოლმეურნეთა წერილების ეფექტიანობისათვის ბრძოლა საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ასე, მაგალითად, ც. ს. კომისია-მუშგლეხინმა 1932 წლის პირველ ოქტომბრიდან 1933 წ. 1 ოქტომბრამდე სულ გამოიკვლია მუშსოფლკორთა 301 წერილი და შენიშვნა. მათგან დადასტურდა 299, არ დადასტურებულა — 72. სასჯელი დაედო 206 კაცს, სასჯელი არ დაედება 96 კაცს, სამუშაოდან მოიხსნა—24, პარტიიდან გამოირიცხა — 35.

მაგრამ რიგ საკონტროლო კომისია მუშგლეხინებში და საქართველოს ც. ს. კომისია - მუშგლეხინის ჯგუფებშიც კი, არაფერი რომ აღარ ვთქვათ სხვა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანიზაციებზე, საგაზეთო შენიშვნების და კორესპონდენციების გამოკვლევა წარმოებს მეტად ზანტად, ხშირად ფორმალურად, ქაღალდური მეთოდებით, ზოგჯერ მასობრივი ორგანიზაციების მონაწილეობის გარეშე. მთელ რიგ შემთხვევებში გამოქვეყნებული წერილები და შენიშვნები ჯერ კიდევ რჩება სრულიად გამოუხმაურებლად.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ გამოკვლევის შედეგებს ყოველთვის როდი ატყობინებენ გაზეთების რედაქციებს. ჯერ კიდევ ყოველთვის არ ტარდება შენიშვნების გამოკვლევის შედეგად მიღებულ წინადადებათა შესრულების კონტროლი და სხვ.

შეთანხმებული მუშაობა კომკავშირთან. კომკავშირთან შეთანხმებული მუშაობის და „მსუბუქი კავალერიის" ჯგუფების მუშაობისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად, საქართველოს ცენტრ. საკონტროლო კომისია მუშგლეხინმა ამ მხრივ განსაზღვრულ წარმატებებს მიაღწია.

რესპუბლიკაში მოწყობილია „მსუბუქი კავალერიის" სულ 2.175 ჯგუფი, რომლებშიაც ჩაბმულია 29.331 კავალერისტი, აქედან 20.652 კომკავშირელი, 2341 პარტიის წევრი და კანდიდატი, 6.388—უპარტიო ახალგაზრდა.

შემდეგში ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი და დავეხმაროთ კომკავშირს „მსუბუქი კავალერიის" მუშაობის კიდევ უფრო მეტად განვითარების საქმეში.

საჩივართა ბიუროს მუშაობა

საჩივართა ბიუროს მუშაობა მდგომარეობდა იმაში, რომ გაეძლიერებინა ბრძოლა შრომის დისციპლინის და რევოლუციური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ, აღმოეფხვრა ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება საბჭოთა აპარატში, აგრეთვე განეხორციელებია სადირექტივო ორგანოების მიერ წითელარმიელთა საჩივრების შესახებ მიღებული დადგენილება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჩივართა ბიუროში შემოვიდა 5976 საჩივარი და განცხადება.

საჩივრების გარჩევის შედეგი ასეთია:

1. დადასტურდა და მიღებულ იქნა ზომები — 2.400.
2. გამოძიებით არ დადასტურდა და მოიხსნა — 576.
3. გადაეცა სხვა ორგანიზაციებს — 3.000.

სულ — 5.976.

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წითელარმიელთა საკითხებს. წარმოებს წითელარმიელთა საჩივრების განსაკუთრებული აღრიცხვა და რეგისტრაცია, წითელარმიელთა და მათი ოჯახის წევრთა საჩივრების მისაღებად შემოღებულია ინსპექტორების მორიგეობა, როგორც სადამოობით, ისე გამოსასვლელ დღეებში.

როგორც ხედავთ, საანგარიშო პერიოდში შემოვიდა უამრავი საჩივარი, რომლებზედაც მუშაობდა არა მარტო საჩივართა ბიუროს აპარატი, არამედ, უმთავრესად, მათი გარჩევის დროს საჭირო ხდებოდა მოგვეწყვიტა მუშაობას ადგილებზე მრავალი ადამიანი, რასაც არ შეეძლო არ მოეხდინა გავლენა მათ მუშაობაზე.

აქედან ცხადია, რომ საჩივრების შემცირებისათვის ბრძოლის ყველაზე უკეთესი ფორმაა — მუშაობის გარკვეულად, ნათლად დაყენება და გულისხმიერი, საქმიანი დამოკიდებულება მასების მოთხოვნილებათადმი.

ც. ს. კ. ბრძოლა ჩვენი პარტიის რიგების მთლიანობისათვის

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მუშაობა, რაც დაუმორჩილდა სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, საანგარიშო პერიოდში, ტარდებოდა იმ მხრივ, რომ უზრუნველგვეყო შემდგომი სოციალისტური შეტევა როგორც ქალაქად, ისე სოფლად, აგვეღო მუშაობის საბრძოლო ბოლშევიკური ტემპები, შეგვენარჩუნებია პარტიის რიგების ლენინური მთლიანობა, გაგვეძლიერებია ბოლშევიკური სიფხიზლე კლასობრივი მტრის მიმართ, გაგვემახვილებია პარტიული ორგანიზაციების ყურადღება ყოველგვარ ბიუროკრატიულ დამახინჯებებთან ბრძოლის და საქართველოს კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების საკითხებზე.

ბრძოლა კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ნაშთებთან. ტროცკისტული მუშაობისათვის პასუხისგებაში იქნენ მიცემული: ვლადიმერ თოდრია, ის. თალაკვაძე, ამბროსი თოლორდავა, ბარტყულაშვილი, გლადკოვი, ედუარდ მისკინი, გრ. ხუნდაძე და სხვ.

ცენტრალური საკონტროლო კომისია, ითვალისწინებდა რა ტროცკიზმის ნამსხვრევების ტაქტიკას — ნიღაბაფარებული დარჩენილიყვნენ ორგანიზაციაში, განსაკუთრებული სიფრთხილით უდგებოდა ყოფილი ტროცკისტების პარტიაში აღდგენის საკითხს.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ გვქონდა მემარჯვენე ელემენტების ორგანიზაციულად გაფორმების ცდის ერთი შემთხვევა.

ნ. ლაბარტყავა, მიმინოშვილი და ვ. მიქელაძე, იყვნენ რა პარტიის წევრები, ამავე დროს ირიცხებოდენ მემარჯვენეთა არალეგალური ორგანიზაციის აქტიურ წევრებად, აწარმოებდენ აქტიურ მუშაობას პარტიის წინააღმდეგ და თავის რიგებში აბამდენ უკმაყოფილო პირებს ანტისაბჭოთა ბანაკიდან. სამივე გამორიცხულია პარტიიდან და ანტისაბჭოთა მუშაობისათვის გადაეცენ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს.

პრაქტიკულად მემარჯვენე გადახრის გამოხატულებას, კულაკობასთან პირდაპირი დაკავშირების მაგალითებს 1933 წელს ადგილი ჰქონდა შემდეგი რაიონების ცალკეულ ხელმძღვანელ მუშაკთა შორისაც კი: სიღნაღის რაიონი (ფხეიძე—რაიაღმასკომის თავმჯდომარე) და ბორჩალოს რაიონი (გასან საბრი — რაიკომის მდივანი). სიღნაღში 10 თვის განმავლობაში აღდგენილ იქნა 402 კულაკი, ხოლო ბორჩალოში, კულაკობასთან შემარიგებლური დამოკიდებულების შედეგად, ჩაიშალა ბამბის კამპანია და ხელმძღვანელობა ეწეოდა თვალისახვევას.

ცენტრალური საკონტროლო კომისია შეუბრალებლად სჯიდა ყველა იმას, ვინც გამოიჩენდა მემარჯვენე გადახრის ასეთ გამოხატულებას როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში.

თუმცა ცხოვრება აბათილებდა მემარჯვენეთა ყველა მოსაზრებას, მაგრამ კაპიტალიზმის ფესვების საბოლოოდ ამოფხვრის და ცალკეულ უბნებზე კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში მემარჯვენე გადახრის გამოხატულებას შემდეგშიაც ექნება ადგილი, ამიტომაც ბრძოლა ამ ფრონტზე არ შეიძლება შესუსტდეს, პირიქით, იგი კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, ამასთან არ უნდა შენელდეს ბრძოლა „მემარცხენე" ნახტომების გამოხატულებათა და კონტრრევოლუციური ტროცკიზმის წინააღმდეგ.

ბრძოლა ჯგუფობრიობის და ატამანშჩინის წინააღმდეგ. „გადამწყვეტმა ბრძოლამ ჯგუფობრიობის ელემენტების და პარტიული დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ, ატამანშჩინის და ბოლშევიკური თვითკრიტიკის ჩახშობის ელემენტების დაუნდობლად და საბოლოოდ ამოფხვრამ, ელემენტების, რომლებიც ინერგებოდა საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის მუშაობის მეთოდებით, უნდა უზრუნველყონ ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციების შემდგომი კონსოლიდაცია და გადაიქციან პარტიის გენერალური ხაზისა და პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების რეალიზაციისათვის ბოლშევიკური ბრძოლის გადამწყვეტ პირობად" (საქ. კ. პ. (ბ) მე-8 ყრილობის დადგენილება).

ასრულებდა რა ამ გადაწყვეტილებას, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ პასუხისგებაში მისცა სენაკის რაიკომის მდივანი ჩარგაზია. ჩარგაზია, ახშობდა რა თვითკრიტიკას, აწარმოებდა ადამიანების შერჩევას არასაქმიანი ნიშნით, რისთვისაც ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ მოხსნა იგი სამუშაოდან საყვედურის გამოცხადებით და გამოიყვანა ც. საკ. კომისიის შემადგენლობიდან. წალენჯიხის რაიკომის მდივანი ამხ. უბირია ეწეოდა ჯგუფურ ბრძოლას და ატამანშჩინას. ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ მიღებული ზომებით ორგანიზაცია გაჯანსაღებულ იქნა. დამნაშავეებმა შესაფერი სასჯელი მიიღეს.

ბორჯომის რაისაკონტროლო კომისიის თავმჯდომარე ამხ. შარიქაძე, კორონაშვილი და სხვ., რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ უპრინციპო ჯგუფურ ბრძოლაში რაიონული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, მისი დისკრედიტაციის მიზნით, გამორიცხულ იქნენ კ. პ. (ბ) რიგებიდან.

სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ მიმართული უპრინციპო ჯგუფობრივი ბრძოლის აქტიური ორგანიზატორის, პარტიის წევრის ალექსანდრე ჯატიევის საქმე დამთავრდა იმით, რომ ამხ. ჯატიევს გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

ამჟამად, ორგანიზაციის საქმიან მუშაობაზე გადაყვანის და ძალთა სწორად განაწილების შედეგად, ჯგუფობრიობა და ატამანშჩინა აღმოფხვრილია.

დიდი მუშაობა ჩაატარა ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ცალკეული კომუნისტების საყოფაცხოვრებო გახრწნის და კლასობრივად უცხო ელემენტებთან დაკავშირების წინააღმდეგ.

სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის პასუხისგებაში მიცემულია 711 კაცი.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით პასუხისგებაში მიცემულია 181 მუშა. აქედან პარტიიდან გაირიცხა 111. გლეხი—55, აქედან პარტიიდან გაირიცხა 35 კაცი, მოსამსახურეები და სხვ.—439, მათ შორის პარტიიდან გაირიცხა 174 კაცი.

ა. ლ. კ. კ-ის ც. კ-ის საკონფლიქტო კომისიისათვის ხელმძღვანელობის გაწევა და მასთან კავშირი

ახორციელებდა რა კავშირს ალკ. კ-ის ცენტრ. კომიტეტის საკონფლიქტო კომისიასთან ურთიერთი წარმომადგენლობის და ყოველდღიური პარტიული ხელმძღვანელობის გაწევის გზით, ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ჩაატარა მთელი რიგი საოლქო და სარაიონო საკონფლიქტო კომისიების (აჭარისტანი), აფხაზეთი, ლიხრაიონი, გურჯაანი, ზესტაფონი) მუშაობის გამოკვლევა.

გამოკვლევამ ცხადყო, რომ საკონფლიქტო კომისიებმა, მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა (აღმზრდელობითი მუშაობის გაშლა, დისციპლინის განმტკიცება, კომკავშირის რიგების გაწმენდა უცხო, გახრწნილი, ტროცკისტული და შემთხვევითი ელემენტებისაგან), ჯერ კიდევ საკმაოდ არ მოზრუნებულან პირით მორიგ სამეურნეო - პოლიტიკური ამოცანებისაკენ.

ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ დამატებით მიამაგრა საკონფლიქტო კომისიებს ცენტრ. საკ. კომისიის წევრები, შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ორგმასობრივი მუშაობის გარდაქმნას და მის დაკავშირებას მიმდინარე სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებთან, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამოცანებთან და სხვ.

პარტიის წმენდის საკითხი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ლენინური პლენუმის ბოლშევიკური გადაწყვეტილება პარტიის წმენდის შესახებ წარმოადგენს მოქმედების საბრძოლო პროგრამას არა მარტო ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის თავიდან ბოლომდე და კ.პ. (ბ) თვითეული წევრის და კანდიდატისათვის, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობისა და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის პროლეტარიული მასებისათვისაც.

როგორც ვიცით, ლენინის ანდერძი ნამდვილი რევოლუციური პროლეტარული პარტიის მშენებლობის შესახებ სავსებით და მთლიანად ემყარება მარქს-ლენინის მოძღვრებას.

ჩვენი გამარჯვებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე და კაპიტალიზმის ფესვების ამოგდება კიდევ უფრო გაამწვავებს კლასობრივ ბრძოლას ცალკეულ უბნებზე.

ჩვენი პარტია იბრძვის და მომავალშიაც იბრძოლებს ყოველგვარი ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ უკან გვეწევიან. პარტია ამჩნევს კლასობრივი მტრის მანევრებს, მტრის, რომელიც ცდილობს შეძვრეს პარტიაში და მოგვაყენოს ზიანი შიგნიდან. მაგრამ აქედან არაფერი გამოვა. წმენდა გამოაშკარავებს მათ. აი რატომაა საჭირო, ამხანაგებო, პარტიის წმენდა.

პერიოდული წმენდის გარეშე ჩვენი პარტია დაიშლებოდა. „პარტია არის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც აუცილებლად დაიშლებოდა, ჯერ იდეურად, ხოლო შემდეგ მატერიალურად რომ იგი არ სწმენდდეს თავის თავს ისეთი წევრებისაგან, რომლებიც ქადაგებენ ანტი-პარტიულ შეხედულებებს" — ამბობს ლენინი.

წმენდის გარეშე ვერ მივაღწევთ წარმატებებს სამეურნეო, საბჭოთა და პარტიულ მშენებლობაში

„სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ თვით პარტიის გაწმენდის გარეშე შეიძლება ჩვენი საბჭოთა სამეურნეო, პროფესიული და კოოპერატიული ორგანიზაციების განმტკიცება, მათი გაწმენდა ბიუროკრატიზმის ნაგავისაგან. ეჭვს გარეშეა, რომ ბიუროკრატიული ელემენტები ცოცხლობენ არა მარტო სამეურნეო-კოოპერატიულ და პროფესიულ საბჭოთა ორგანიზაციებში, არამედ თვით პარტიის ორგანიზაციებშიც. თუ პარტია წარმოადგენს ყველა ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელ ძალას, ცხადია, პარტიის წმენდა წარმოადგენს იმ აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც შეუძლებელია გატარებული იქნეს ბოლომდე მუშათა კლასის ყველა დანარჩენი ორგანიზაციის გაცოცხლება და გაუმჯობესება. აქედან გამომდინარეობს ლოზუნგი პარტიის წმენდის შესახებ", — ლაპარაკობს ამხ. სტალინი.

ჩვენ უნდა ჩავატაროთ წმენდა, რათა ჩვენმა ორგანოებმა უკეთ იმუშაონ და ჩვენი მშენებლობა უფრო სწრაფად განვითარდეს.

„ჩვენ ვწმენდთ პარტიას, რათა გავხდეთ ბრძოლის უფრო მეტი უნარის მქონე, რათა გავმახვილდეთ, რათა პარტიული ჩაქუჩი უკეთ ურტყამდეს, რათა ჩვენი აპარატი უკეთ მუშაობდეს, რათა ჩვენი მეურნეობა უკეთ ვითარდებოდეს, რათა კანცელიარშჩინას და ბიუროკრატიზმს სწრაფად ელებოდეს ბოლო, რათა უკეთ იცხოვრონ მუშათა მასებმა და გლეხობამ" — ლაპარაკობს ამხ. კაგანოვიჩი.

წმენდისათვის ჩატარებული პრაქტიკული მუშაობა

1. ჩატარებულია ფართო განმარტებითი მუშაობა წმენდის ამოცანების შესახებ პარტიულ და უპარტიო მასების შორის.
2. წმენდისათვის მოსამზადებელ მუშაობასთან დაკავშირებით პარტორგანიზაციების ყურადღება გამახვილებულ იქნა კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერებისაკენ სახალხო სამეურნეო გეგმის ბოლშევიკურად შესრულების მიზნით.
3. წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის (ბ) წევრების და კანდიდატების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებასთან, რის შედეგად დიდად გაიზარდა ინტერესი სწავლისადმი.
4. მოსამზადებელი მუშაობა ორგანიზაციულად და ტექნიკურად დამთავრებულია.
5. წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობის შედეგად ჩვენ გვაქვს ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლა. კომუნისტების პასუხისმგებლობის გრძნობის გადიდება, პარტდისციპლინის განმტკიცება და ბრძოლის გაძლიერება სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ვამთავრებ რა ჩემს მოხსენებას, ნება მომეცით სრული იმედი გამოვთქვა, რომ საქართველოს კომპარტია ამ ყრილობის სახით ამხ. ბერიას ხელმძღვანელობით იქნება ერთ-ერთი საუკეთესო დამკვრელი საბჭოთა კავშირში უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა შორის, რომ ჩვენი ყრილობა წაიყვანს საბჭოთა საქართველოს მშრომელ მასებს საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობის მითითებით.

გენიალური ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით გადავიდეთ იერიშზე უკლასო სოციალისტური საზოგადოების ასაგებად მეორე ხუთწლედში (**ხანგრძლივი ტაში**).

დეპუტატთა პალატის სხდომა სტავიცკის საქმის გამო

პარტიები სტავიცკის აფიორას იყენებენ პოლიტიკური ბრძოლისათვის

პარიზი, 12 იანვარი. დეპუტატთა პალატის გუშინდელი სხდომა მთლიანად სტავიცკის საქმეს შეეხებოდა. სხდომა მეტად ღელვარე ხასიათს ატარებდა. სოციალისტები ლაგრანჟი და მოშე, რომლებიც მემარჯვენე პარტიების მსგავსად ცდილობენ ეს აფიორა თავისი საარჩევნო მიზნებისათვის გამოიყენონ; გამოვიდნენ მამხილებელი სიტყვებით; მათ აღნიშნეს, რომ სტავიცკის აფიორა გამომჟღავნებული იქნა ჯერ კიდევ 1927 წელს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის აშკარა დამნაშავე იყო, მისი საქმის განხილვა სასამართლოში ცხრამეტჯერ გადაიდო. ამან საშუალება მისცა სტავიცკის მოეწყო ბაიონის აფიორა. ლაგრანჟმა ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე, რომ გაზეთები „ვოლონტე" და „პარიმიდი", რომელთაც წილი უდევთ სტავიცკის საქმეში, კამპანიას ეწეოდენ გერმანიასთან შეთანხმების სასარგებლოდ და მოითხოვა იმის გამორკვევა, თუ რა კავშირი აქვთ ამ გაზეთებს უცხოეთთან.

დეპუტატმა დომანჟმა სასტიკად გაილაშქრა მთავრობის წინააღმდეგ და მოითხოვა განმარტება, თუ რა როლი ითამაშა კოლონიების ყოფილმა მინისტრმა დალიმიემ სტავიცკის საქმეში, დასასრულ დომანჟემ მოითხოვა მთავრობის გადადგომა.

პრემიერ-მინისტრი შოტანი გამოვიდა მკაცრი პასუხით დომანჟის მიმართ და აღნიშნა, რომ მემარჯვენე პარტიები ცინიკურად იყენებენ სტავიცკის საქმეს პოლიტიკური ბრძოლის მიზნებისათვის. შოტანმა ამასთან განაცხადა, რომ მთავრობის მოწინააღმდეგეებმა უკვე დაამზადეს პროკლამაციები „დირექტორიის შექმნის შესახებ" და სურთ ლახვარი ჩასცენ რესპუბლიკურ წესწყობილებას. შემდეგ შოტანმა დაადასტურა სასამართლო და საპოლიციო ხელისუფლების უმოქმედობა და, კერძოდ, აღნიშნა, რომ სტავიცკის საქმის მოსმენა მართლაც ცხრამეტჯერ გადიდო. შოტანმა დაადასტურა, რომ სტავიცკი ერთ დროს ცნობებს აწვდიდა პოლიციას, მას ჰქონდა სათანადო მოწმობა და მიიღო პოლიციისაგან რეკომენდაციები. შემდეგ შოტანმა განაცხადა, რომ ის შეეცდება მიაღწიოს ამ საქმის ბოლომდე გამოძიებას და ის აქ არაფერს შეუშინდება. შოტანმა დასძინა, რომ მან წინადადება მისცა ყველა სათანადო ორგანოს ლოიალურად ხელი შეუწყონ გამოძიებას. შემდეგ შოტანმა ძლიერ დაჰგმო სტავიცკის აფიორით სპეკულიაციის გაწევა პოლიტიკური მიზნებისათვის.

საერთო ყურადღებას იპყრობს საპარიზო პოლიციის პრეფექტ კიაპის მოქმედება სტავიცკის საქმეში. — წინად კიაპი პრესაში გამოვიდა განცხადებით, რომ სტავიცკი ცდილობდა მიეღწია მასთან აუდიენციისათვის, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. დღეს კიაპი იძულებული გახდა გამოსულიყო ახალი განცხადებით, სადაც აღიარებს, რომ მან მიიღო სტავიცკი და ელაპარაკა მას.

ძლიერი მღელვარება სუფევს პალატის გარეთაც, მაგალითად, გადასახადის გადამხდელთა ფედერაციამ დეპუტატებს ოვენს, ფრანკლენ-ბუიონს და ანრიოს მიმართა დეპეშით, სადაც აღნიშნავს, რომ თუ დამნაშავენი სასტიკად არ იქნებიან დასჯილნი, ფედერაცია უკან არ დაიხევს გადასახადების შეტანის შეწყვეტისაგან.

გუშინ პოლიციამ დააპატიმრა „ლიბერტეს" რედაქტორი ემარი და „ვოლონტეს" რედაქტორი დიუბარი, რომელთაც ბრალად ედებათ სტავიცკის აფიორაში მონაწილეობა. (ატს).

მოსკოვი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ლორდი როტერმირი მოითხოვს ინგლისის საჰაერო ძალების გაძლიერებას

მოსკოვი, 13 იანვარი. „პრავდას" ლონდონელი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება, რომ ლორდმა როტერმირმა „დეილი მეილში" მოათავსა ვრცელი წერილი სათაურით—„მომავალი საჰაერო ომი". ლორდი როტერმირი ამბობს, რომ ომში გამარჯვება მუდამ დაკავშირებულია ახალ გამოგონებასთან. ამასთან, მისი აზრით მომავალში საჰაერო ომში გაიმარჯვებს ის ნაცია, რომელიც შესძლებს უზრუნველყოს თავისი თავი ყველაზე უფრო უკეთესი, ყველაზე უფრო მოქნილი იარაღით და ძლიერი თვითმფრინავებით.

ეხება რა, „იდეოლოგიურ" ბაზას, ლორდი როტერმირი მოითხოვს, რათა გაძლიერებულ იქნას საჰაერო ძალები ინგლისში, რომელიც, მისი აზრით, ამ მხრივ საგრძნობლად ჩამორჩება სხვა ქვეყნებს. ლორდ როტერმირის აზრით, ინგლისი არ არის მზად იმ საფრთხისათვის, რომელსაც მას უქადის საჰაერო, ომი, ლორდი როტერმირი ჩერდება ავიაციის ხარისხის საკითხზე და საჭიროდ სთვლის საათში 200 მილის სიჩქარის მქონე თვითმფრინავების აგებას ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

დასასრულ ლორდი როტერმირი ამბობს, რომ სასაცილოა ლაპარაკი საჰაერო განიარაღების შესახებ რადგანაც სამოქალაქო საჰაერო ხაზები, რომლებიც ასე ძლიერად განვითარებულია კონტინენტალურ ქვეყნებში, ყოველ წუთში შეიძლება გადაკეთებულ იქნან სამხედრო ხაზებად.

„ლენინის დღეები" მოსკოვსა და მის ოლქში

მოსკოვი, 13 იანვარი. მოსკოვსა და მის ოლქში გაიშალა მზადება ლენინის დღეებისათვის. პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მთელი ხაზით ტარდება მეცადინეობა თემაზე —„სოციალიზმისათვის ბრძოლის 10 წელი".

ოლქის მთელ რიგ უდიდეს საწარმოებში მათ შორის მოსკოვის 25 საწარმოსა და უმაღლეს სასწავლებლებში ტარდება მოხსენებები ამავე თემაზე, აგრეთვე შემდეგ თემებზე: „ლენინი და სტალინი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ" და „ლენინის და სტალინის პარტია მე-17 ყრილობისათვის".

ლენინის დღეებისათვის მზადება უკავშირდება პარტიის მე-17 ყრილობისათვის ც. კ-ის თეზისების დამუშავებას.

მოსკოვის და მის ოლქის ყველა დაწყებით და საშუალო სასწავლებლებში ტარდება ორ-ორი საათის მეცადინეობა, მიძღვნილი ლენინის ხსოვნისადმი. ეწყობა ლენინის ნაწარმოებთა კითხვა უფროსი ჯგუფებისათვის, აგრეთვე კითხვა მხატვრული ლიტერატურისა ლენინზე უმცროსი ჯგუფებისათვის.

მოსკოვის ყველა სამეცნიერო საზოგადოება ამზადებს მოხსენებებს 10 უკანასკნელი წლის განმავლობაში თავისი მუშაობის და მიღწევების შესახებ. სამეცნიერო მუშაკების, მოსწავლეების და მოსკოვის საწარმოთა მუშების კრებებზე მოხსენებებით გამოვლენ გამოჩენილი მეცნიერები.

3 დღის განმავლობაში: 20, 21 და 22 იანვარს ყველა საწარმოსა, დაწესებულებასა და უმაღლეს სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩატარდება სამგლოვიარო სხდომები.

გაზ. „კომუნისტის" რედაქციას

გამომცემლობა „ფედერაციამ" აიღო ვალდებულება, რომ ის საქართველოს კომ. პარტიის (ბ) მე-9 ყრილობისათვის გამოუშვებდა 15 მხატვრულ წიგნს. გაცნობებთ, რომ ეს ვალდებულება შესრულებული იქნა მთლიანად. გამოვა და შემდეგი ახალი წიგნები: 1. დ. კლდიაშვილი ნაწერების 1 ტომი, 2. ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუა", 3. ხუთწლედის გმირი მხატვრულ ლიტერატურაში, 4. ი. ლისაშვილის რომანი „ვარდნილი", 5. დ. სულიაშვილის რომანი „ქედელი", 6. ს. თალაკვაძის რომანი „გადასავლელი", 7. სპარსული ლირიკა — ა. შანიძის თარგმანი, 8. ა. სულავა — „ფ. მახარაძე, როგორც ლიტ. კრიტიკოსი". 9. ბ. ჟღენტი — კრიტ. წერილები, 10. „ლაზარილიო ტორმესელი", 11. ს. ეული — ლექსები, 12. ი. მოსაშვილი — პიესა, 13. კ. ბობოხიძე — ლექსები, 14. სამხატვრო სალიტ. კრებული, 15. ი. ვაკელი — ლექსები.

გამოვა საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობისათვის კიდევ შემდეგი წიგნები: 1. ნ. ლორთქიფანიძე 1. ტ. 2. დ. შენგელაიას ნაწარმოებები 1 ტომად 3. ვ. ჩხიკვაძე—ტრილოგიის პირველი წიგნი „[illegible]", 4. ს. მგელაძე, რომანი —„ქარიშხლის ფრთებზე". 5. ნაროუშვილი — ლექსები, 6. ს. კლდიაშვილის ნაწარმოებები — ერთ ტომად. 7. ლ. ასათიანი — კრიტ. წერილები. 8. მოპასანი — მოთხრობები, 9. თეიმურაზი „თეიმურაზიანი", 10. ტ. ტაბიძე — თარგმნილი ლექსები 11. ბ: რადიანი—კრიტ. წერილები და სხვ.

ამასთანავე უახლოეს დროში გამოვა: 1. შ. რუსთაველის „ვეფხვ ს ტყაოსანი", აკადემიური გამოცემა. 2. პროფ. ივ. ჯავახიშვილის — საქ: ეკონომიური განვითარების ისტორია, 3. ზ. დოლიძე—პოემა „[illegible]", 4. გ. ლეონიძე — „ბესიკის" შესახებ, 5. ალ: ყაზბეგის 1 ტ. 6. ნ. ზომლეთელი — მოთხრობები და სხვა.

ამრიგად გამომცემლობა „ფედერაცია" გადაჭარბებით ასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

გამომცემლობა „ფედერაციის" თავ-რე
იაკინთე ლისაშვილი

ქ რ ო ნ ი კ ა

თათბირი განსახკომის სასკოლო სამმართველოში. 15 იანვარს დილის პირველ საათზე განსახკომის სასკოლო სამმართველო იწვევს თათბირს (განსახკომი ოთახი № 3) სასწავლო რუკების გამოცემის საკითხის დასამუშავებლად. მოწვეულნი არიან: პროფ. ალ. ჯავახიშვილი, პროფ. ა. ზინაშვილი, პროფ. გ. გიხტმანი, დოც. ბ. ყაურიშვილი, ტოპოგრაფები ე. ბარამიძე და ს. ცხაკაია, მასწავლებლები დავ. დონდუა და შ. სანიკიძე და აგრეთვე ე. ტოროტაძე, დავ. [illegible] ზ. აფხაიძე.

ქვანახშირი

11 იანვარს ქვანახშირის დღიური გეგმა შესრულდა 112 პროც.

	ამოღება (ტონობით)		
	დავალება	შესრულება	%
სულ	962	1.074	112
მათ შორის:			
ლენინის უბანი . . .	462	498	108
სტალინის უბანი . .	500	576	115

რუსთაველის თეატრი
სახელმწიფო აკადემიური

14 იანვარს 10 აბ. 4 წარ. **დუშმანი**
15 იანვარს 9 აბონ. 5 წარ. **დუშმანი**
მე-4-ზე გადასახადი სავალდებულოა, მეტანილი უნდა იქნას თეატრის სალაროში წარმოდგენის დღის 2 საათამდე.
სალარო ღიაა 11—2. 6—9 ს.-მდე. დასაწყისი 8 ს.

მარჯანიშვილის თეატრი
სახელმწიფო

14 იანვარს 3 აბონ. 4 წარ. **კაკალ გულში**
15 იანვარს 4 აბონ. 4 წარ. **ოტელო**
16 იანვარს 10 აბონ. 4 წარ. **კაკალ გულში**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11—2 საათ. საღ. 6—9 ს. აბონენტების მიერ იანვრის 20-მდე დაფარული უნდა იქნეს მე-5 გადასახადი.

სახელმწიფო კინო-თეატრები

ოქტომბერი ხმოვანი — ხმ. მოლ. ფ. **დიდი ნუგეშისმცემელი** სეანსები 6-30, 8-30, 10-30.
დამკვრელი — მხატ. სურ. სახ. ნაწ. **რისთვის?** 2 სერ. სეანსები 6. 8-15, 10-30.
ტემპი — **მეპაპიროსე მოსელპრომიდან** სეანსები 6, 7-30, 9, 10-30.
რუსთაველის ხმოვანი — ახ. ხმ. ფ **მოსკოვი-ყარაყუმი მოსკოვი და ტომში.** სეან. 6, 7-30, 9, 10-30.
სპარტაკი — ოლღა ჩეხოვა სურათში **მულენ-რუჟი** სეანსები 6-30, 8-30, 10-30.
26-ის სახ. — ისტორ. ფილ. **ჟანუი** მე-2 სერია სეანსები 6-30, 8-15. 10.
მეცნიერება და ტექნიკა — სამეცნ. ფილ. **ელექტროფიკაცია, ელექტროძრავი.** სეანსები 8, 9-30.
რუსთაველის დღისით — **კომუნარის ჩიბუხი** სეანსები 10-30, 12, 1-45.
საბავშვო — საბავშ. კ. **თეთრი მხედარი** (მოზრდ. ჯგუფებ-თვის) სეანსები 10, 12, 2.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. №68

მთავლიტის რწმუნებული ა 1552